ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 28 აპრილი, 2020 №94 (8358) ფასი: 60 თეთრი

ყინწვისის მამათა მონასტრის სასულიერო პირი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს

გია ხუხაშვილი: „მიშას გამო, იმედია, „ოცნება“ უკრაინას ომს არ გამოუცხადებს“

„საუბარი, რომ მერაბიშვილი ბოკერიას იმიჯს დააზიანებს, ნონსენსია“

„ოცნება“ გადავიდა ტოტალიტარული მართვის რეჟიმში“

არჩილ გამზარდია: „მას მოსწონს ეს მდგომარეობა, რადგან წინააღმდეგობის გამწევი არავინაა“

კახა კოჟორიძე: „ოთარ ფარცხალაძისთვის „ნარუშილოვკის“ მიცემა ჩუმად არ ჩაივლის“

21-ე საუკუნეში საქართველოს მთავრობა ვერ ახერხებს, რომ ადამიანებს ინფორმაცია მიაწოდოს

ნათია თურნავა: „ტურიზმს სხვა ქვეყნებზე აღრე აღვადგენთ“

რუსეთმა ევრაზიული კავშირის ფარგლებს გარეთ მარცვლეულის ექსპორტი შეაჩერა

უკრაინაში რუსების ნების შემსრულებელი გენერალი შაიტანი დააპატიმრეს

ვის მკვლელობას გეგმავდა მოღალატე გენერალი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 115 ფაქტი გამოავლინა

ISSN 1987-9385

2 ამირან გამყრელიძე: „კოვიდ-19-თან ერთად ცხოვრება უნდა ვისწავლოთ“

6 სად არის კიმ ჩენ ინი?!

5 ახვლედიანის აღმართზე ქალის ცხედარი იპოვეს

6 ახალ ზელანდიაში კოვიდ-19 დაამარცხეს

გია ხუხაშვილი: „მიშას გამო, იმედია, „ოცნება“ უკრაინას ომს არ გამოუცხადებს“

„საუბარი, რომ მერაბიშვილი ბოკერიას იმიჯს დააზიანებს, ნონსენსია“

იაგო ნაცვლიშვილი

საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, სავარაუდოდ, უკრაინის ვიცე-პრემიერი გახდება, რის გამოც, საქართველოს ხელისუფლება უკრაინიდან ელჩის გამოწვევაზე ფიქრობს. როგორც პრემიერმა თქვა, როგორც მინიმუმ, ეს კონსულტაციების მიზნით მოხდება. შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა კი განაცხადა, რომ დღეიდან აქტიურ პოლიტიკაშია და რამდენიმე ხმაურიანი განცხადებაც გააკეთა.

რამდენად სწორი რეაქცია ჰქონდა უკრაინასთან საქართველოს ხელისუფლებას, რა შეიცვლება ქართულ პოლიტიკაში და რა გავლენა ექნება ვანო მერაბიშვილს ოპოზიციური პარტიებისთვის? – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **გია ხუხაშვილი** საუბრობს.



– მერაბიშვილმა ციხის კადრებზე საუბრისას თქვა, რომ ნაწილი დადგმული იყო, ნაწილი რეალობა იყო. მან აქცენტი არჩევნების კონტექსტში გააკეთა და არა იმაზე, რომ ეს სისტემის პრობლემა იყო. ეს როგორ გაიგეთ?

– ვანო მერაბიშვილს აქვს უფლება, იყოს პოლიტიკაში. ვინაიდან მან ეს გადაწყვეტილება მიიღო, იმიტომ, რომ ეს მისი ცხოვრებაა და როგორც ჩათვლის, ისე ცხოვრობს. რაც შეეხება ციხის კადრების დადგმას, კი ბატონო, ნაწილი დადგმული იყო, მაგრამ ვისი დადგმული იყო. ხელისუფლებამ მაშინ დასწრებაზე ითამაშა და რაღაცა თვითონ დადგეს იმისთვის, რომ გადაეფარათ მერე რეალური პრობლემა, რაც არ გამოუვიდათ.

იმას, რომ ციხის კადრებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა არჩევნების შედეგებზე, მე არ ვეთანხმები. მაშინ მოვლენების ეპიცენტრში ვიყავი და რა ხდებოდა, ეს მე ძალიან კარგად ვიცი.

ციხის კადრებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა არჩევნების შედეგებზე, მაგრამ ეს არ ყოფილა გადამწყვეტი ფაქტორი. ციხის კადრებმა ადამიანების განწყობა კი არ შეცვალა, არამედ გარკვეული ადამიანები, რომლებიც ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა, საკმაოდ მცირე სეგმენტი, არჩევნებზე წაიყვანა, ანუ აქტივობა გაზარდა. ეს მიეხმარა „ქართულ ოცნებას“, მაგრამ იმას, ეს კადრები რომ არ ყოფილიყო, ჩვენ არჩევნებს ვერ მოვიგებდით, კატეგორიულად არ ვეთანხმები.

– თქვენ პირადად სად ხედავთ ვანო მერაბიშვილს?

– მთავარია, ის სად ხედავს თავის თავს. მას ხიდები არ აქვს დამწვარი ორად გახლეჩილი ნაციონალური მოძრაობის სხვადასხვა ფრთებთან, მისი როლი ალბათ იქნება ის, რომ ისინი არჩევნებზე ერთმანეთთან კონკურენციაში კი არ შევიდნენ, არამედ ერთ პოლიტიკურ ამოცანაზე იმუშაოს. ის ეცდება, რომ ხიდის როლი ითამაშოს ამ ორ ფრთას შორის. რამდენად გამოუვა, ეს მე არ ვიცი.

– მერაბიშვილის ფაქტორი რომელიმე პარტიისთვის მონაპოვარი იქნება თუ პირიქით, დააზარალებს მას?

– იქიდან გამომდინარე, რომ ნაციონალური მოძრაობის შიგნით მოძრაობს, ამბობენ, რომ დააზარალებს, მაგრამ მე არ ვფიქრობ, რომ ბოკერია იმაზე ნაკლებად პასუხისმგებელია მაშინდელ საკითხებზე, ვიდრე მერაბიშვილი. შესაბამისად, ის, რომ ბოკერიას იმიჯს დააზარალებს ვანო მერაბიშვილის გამოჩენა, ნონსენსი მგონია. თუ ვინმეს არ მოსწონს მერაბიშვილი, იმას არ მოსწონს ბოკერიაც.

– აქვს მერაბიშვილს ბოკერიას დონის ინტელექტი?

– აქ მე ინტელექტის დონეზე არ ვსაუბრობ. მე ვსაუბრობ იმიჯის დაზიანების საკითხზე. სადაც ის მოძრაობს, იქ მას ვერ დააზიანებს. იმიტომ, რომ დააზიანებდა იმ შემთხვევაში, თუ ამ ორი პარტიის ამომრჩევლისთვის აღქმა მერაბიშვილის მიმართ იქნებოდა იმაზე უფრო ნეგატიური, ვიდრე ბოკერიასი თუ მელიასი. ეს ასე არ არის და როგორ უნდა დააზარალოს, ეს ჩემთვის გაუგებარია.

პრინციპში პოზიტივის მოტანა შეუძლია მას. ძალიან რომ წააყრიან ერთმანეთს და ჩვენ ეს არაერთხელ გვინახავს, ის შეეცდება, რომ ემოციები რაღაცნაირად ჩაახშოს და შიდა კრიზისები გადალახოს, კომუნიკაცია უზრუნველყოს მათ შორის.

– მან აღიარა შეცდომები. თქვა, რომ მისი პასუხისმგებლობაა 26 მაისი, რომ რაღაცები სწორად ვერ გათვალეს, ასევე თქვა, რომ გირგვლიანის საქმეზე უნდა აეღო პასუხისმგებლობა და გადამდგარიყო. ცუდ პროცესებზე მთელ დარტყმას საკუთარ თავზე იღებს?

– მე თვითონ არ მიყურებია ინტერვიუსთვის, მაგრამ თქვენ რასაც მეუბნებით, ის ამბობს, რომ გირგვლიანის ტრაგედიის შემდეგ ის უნდა გადამდგარიყო, მე ამას გავიზიარებდი. ის რომ მაშინ გადამდგარიყო, შეიძლებოდა, რომ ის უმძიმესი პროცესი, რაც მოჰყვა გირგვლიანის საქმეს, ნაწილობრივ მაინც შენელებულიყო. პრინციპში, აქ საკამათო ნამდვილად არაფერია.

– სააკაშვილის უკრაინის ვიცე-პრემიერად დანიშვნაზე პანიკა შეინიშნება „ოცნებაში“. ხომ არ ზარალდება ორი ქვეყნის ურთიერთობა და სააკაშვილის სიძულვილს ხომ არ გადააყოლეს ქვეყნის ინტერესები?

– ხელისუფლებას აქვს პრობლემები სააკაშვილის შესაძლო ვიცეპრემიერობასთან დაკავშირებით. ამის არდანახვა არ შეიძლება. ერთი გახლავთ უხერხულობა საქართველო-უკრაინის ურთიერთობასთან დაკავშირებით. ეს არ არის ჩვეულებრივი ურთიერთობა. ძალიან ბევრ საერთაშორისო საკითხებში პოზიციონირება ხშირ შემთხვევაში ტანდემში ხდება ჩვენი პრობლემებიდან გამომდინარე და სააკაშვილის დანიშვნა პრობლემატურია.

მაგრამ არის მეორე პრობლემა, შიდა პოლიტიკურ საკითხებს რაც უკავშირდება. თუ სააკაშვილი გახდა უკრაინის ჩინოვნიკი, „ქართულ ოცნებას“ მოუწევს თავისი პოლიტტექნოლოგიის გადახედვა. ყოველ არჩევნებზე ისტერიკა იწყებოდა, რომ მიშა აპირებდა ლონდონიდან ბომბეიმდე გვირაბის გათხრას.

– ეს აღარ იქნება?

– ეს ფაქტორი დიდწილად იხსნება. იმიტომ, რომ ამ ტიპის ისტერიკით ამომრჩევლის იძულება არადამჯერებელი ხდება.

– თუმცა, აქ მეორე ფაქტორი არ ირთვება? დასავლეთიდან წამოსული კრიტიკიდან ყველაფრის მიშასთვის გადაბრალება ხომ არ მოხდება?

– ამას ისედაც ლაპარაკობდნენ. დიდი ბოდიში, ამაზე მიშა, როგორც უკრაინის ვიცე-პრემიერი, ვეღარ იმუშავებს. ესეც არადამჯერებელია. თუ იმის უნარი არ გაქვს, რომ სხვის ტყუილზე შენი სიმართლე დაამტკიცო, მაშინ რა გინდა ხელისუფლებაში?! ესეც სუსტი არგუმენტია.

ამასთან, ირთვება მესამე ფაქტორიც. თეორიულად რომ დავუშვათ, მიშამ უკრაინაში წარმატებას მიაღწია რეფორმების თვალსაზრისით, ეს „ქართული ოცნებისთვის“ სრული კატასტროფა იქნება. იმიტომ, რომ ისინი ამტკიცებენ, მიშამ მხოლოდ დანგრევა იცის და არაფერი გაუკეთებია.

ხელისუფლებისთვის მიშას ვიცეპრემიერობა სერიოზული დისკომფორტი და სერიოზული რისკებია, მაგრამ ის რეაქცია, რაც ხელისუფლებამ მისცა ამ საკითხს, არასწორია.

მას შეეძლო თავისი პოზიციის დაფიქსირება, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს დიპლომატიურ ფარგლებში და არ უნდა გამოდიოდეს საჯაროდ. მათ შეეძლოთ გამოეხატათ გაკვირვება და შეეხსენებინათ, რომ ამ ადამიანს მისჯილი აქვს პატიმრობა, მაგრამ როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ ულტიმატუმით დაიწყო საუბარი მაშინ, როდესაც ჯერ ისიც არ ვიცით, დანიშნავენ თუ არა, როდესაც ემუქრები ათჯერ დიდ ქვეყანას, შემდეგი ნაბიჯიც უნდა გქონდეს გათვლილი. დავუშვათ, უკრაინამ არ გაითვალისწინა, მერე რას აპირებ? ბავშვების ფეხების ბაკუნში გაატარებენ?!

– შეცდომა იყო გახარიას განცხადება ელჩის გამოწვევის კონტექსტში?

– ყველა განცხადება იყო შეცდომა. მათ უნდა გამოეხატათ გაკვირვება. დიპლომატიურად ეს საკმაოდ ბევრს ნიშნავს, მაგრამ როცა ასეთი განცხადებები კეთდება, ეს არის უცხო ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევა. როდესაც წინასწარ ემუქრები, რომ არ დანიშნო, თორემ რაღაცას ვიზამ, ეს ნიშნავს, რომ შენ ერევი იმ ქვეყნის საკადრო პოლიტიკაში, რაც არასწორია. დანიშვნის შემდეგ რომ მიეცათ ასეთი რეაქცია, კიდევ რაღაცას ემსგავსებოდა, მაგრამ კაცი ჯერ არ დაუნიშნავთ და წინასწარ იმუქრებიან და აშანტაჟებენ, არ ვიცი...

დიპლომატიაში ასეთი განცხადებები როცა კეთდება, მერე, როგორც წესი, ომი იწყება.

– უკრაინა როდესაც ასეთ გადაწყვეტილებას იღებს, მას კონსულტაციები აშშ-თან და ევროკავშირთან არ ექნებოდა?

– რა თქმა უნდა. სააკაშვილის ხელისუფლება იყო პრობლემატური და ამიტომ მოხდა 2012 წელი, მაგრამ მიშამ მოახერხა რეფორმატორის ძალიან მყარი იმიჯის შექმნა. მაშინდელი საქართველო, 2003-2007 წლების საქართველო, წარმატებულ პროექტად იწოდებოდა. მიშამ ეს იმიჯი შეიქმნა და დღემდე აქვს. ეს ბრენდი დღესაც ცოცხალია. ჩვენ რას ვხედავთ, ეს ერთია, მაგრამ დასავლეთის თვალში მიშა არის რეფორმატორი. შესაბამისად, ზელენსკის აქვს რაციონალური გათვლა. მას სჭირდება დაბრენდებული რეფორმატორი, რომელიც შეძლებს ინვესტიციების მოზიდვას.

– გათვლა ჩინეთიდან წამოსული ინვესტიციების უკრაინაში მიზიდვაზე ხომ არ აქვს?

– ამის კომენტირებისგან თავს შევიკავებ. ეს არის ქართულ-უკრაინული მორიგი სისულელე. ჯერ ჩვენმა სამინისტრომ გამოაცხადა, მერე უკრაინამ. უნდა ჩავიხედოთ, რატომ მოდიან ჩინეთიდან და სად მიდიან. იქიდან მოდიან, რომ მოდი, გზაში ჩვენთან დარჩეს, არასერიოზული მსჯელობაა. საიდანაც მოდიან, მიდიან სამშობლოში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სადღაც მესამე ქვეყანაში კი არ მიდიან.

გარდა იმისა, უნდა გვესმოდეს, რომ კომპანიები, რომლებიც იქიდან გამოდიან, მაღალტექნოლოგიური კომპანიებია, შესაბამისად, სპეციალისტებს მრავალი წლის განმავლობაში ამზადებდნენ. ასე ხომ არ არის, რომ ჩამოიყვანე კომპანია, დაქოქე ქარხანა და ამუშავე, ამისთვის საჭიროა შესაბამისი განათლება და ა. შ. მომსახურება სჭირდება, კვალიფიკაცია და ა. შ.

ჩვენ ამის კულტურა არ გვაქვს, უკრაინას კიდევ აქვს, მაგრამ ჩვენ უნდა დავიწყოთ პირველ რიგში პროფესიული განათლების შექმნით.

ჩინეთში ჯერ სერიოზული ადამიანური კაპიტალი შეიქმნა და ამის მერე დაიწყო ეს პროცესი.

ნათია თურნავა: „ტურიზმს სხვა ქვეყნებზე აღრე აღვადგენთ“

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, ნათია თურნავას განცხადებით, კრიზისის დროს ყველაზე დიდი ზიანი ტურიზმის სფეროს მიადგა.

როგორც ნათია თურნავამ „დღის კურიერში“ სტუმრობისას განაცხადა, სახელმწიფო ყველა მექანიზმს გამოიყენებს, რათა წლის ბოლომდე ქვეყანაში შიდა ტურიზმი აღდგეს.

ნათია თურნავას ინფორმაციით, ოთხშაბათს დადგენილია ტურიზმის სექტორთან შეხვედრა, სადაც მნიშვნელოვანი საკითხები იქნება განხილული.

– ბიზნესის სტიმულირების გეგმა დეტალური და საკმაოდ ეფექტური ახლა იქმნება და ეს არის უკვე პოსტკრიზისული ეკონომიკის სტიმულირების გეგმის ნაწილი. აქ ჩვენ საინვესტიციო პოლიტიკაზე ვისაუბრებთ, ასევე ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობასა და საკუთარი ბაზრის მაქსიმალურად საკუთარი რესურსით უზრუნველყოფაზე.

როდესაც ვსაუბრობთ ბიზნესის სტიმულირებასა და სოციალურ პაკეტზე, ურთიერთკავშირშია ეს ყველაფერი და საბოლოოდ ჩვენი ანტიკრიზისული გეგმის ადრესატი არის ადამიანი.

ტურიზმი გახდა პრობლემური ბიზნესი და აქ სახელმწიფო შემოდის საკუთარი რესურსით. 90%-მდე უზრუნველყოფით ჩვენ შევეხიდებით კომპანიებს იმისთვის, რომ მათ დამატებით სესხის მოზიდვა თუ დასჭირდათ, მოიზიდონ, ან დღევანდელი სესხის გადავადება თუ დასჭირდათ ბანკებთან ერთად, აქ 30%-ში შევეხიდებით. გავხდებით მათი თანაგარანტორი ამ თვალსაზრისით. თითქმის ყველა დარგი იქნება ჩვენი პროგრამის ადრესატი.

ტურიზმი მართლაც ყველაზე მტკივნეული თემაა ბიზნესებს შორის. ბევრი სხვა სფეროს ლოკომოტივი იყო ტურიზმი. მე დარწმუნებული ვარ, რომ გავა თვეები, ეს ისევ ასე იქნება. ჩვენ ვიქნებით ქვეყანა, რომელიც სხვაზე ადრე აღადგენს ტურისტულ ინფრასტრუქტურას. შიდა ტურიზმი, ალბათ, უფრო სწრაფად ამოქმედდება, დანარჩენი კი, რა თქმა უნდა, არის მსოფლიოში მიმდინარე ვითარებაზე დამოკიდებული.

ჩვენ გვექნება დიდი ონლაინკონფერენცია ოთხშაბათს, სადაც ტურიზმის სექტორის წარმომადგენლები და ასოციაციები მიიღებენ მონაწილეობას. ვისაუბრებთ, თუ რა არის უფრო ადეკვატური და რელევანტური ამ უახლოეს პერიოდში მათ დასახმარებლად, – განაცხადა ნათია თურნავამ.

ამირან გამყრელიძე: „კოვიდ-19-თან ერთად ცხოვრება უნდა ვისწავლოთ“

დაავადებათა კონტროლის ცენტრის დირექტორი ამირან გამყრელიძე აცხადებს, რომ შეზღუდვების მოხსნა უნდა დაიწყოს ნელ-ნელა.

მისი თქმით, საზოგადოებრივი ტრანსპორტი მალე დაბრუნდება ქუჩებში, თუმცა საზოგადოებამ მაქსიმალურად უნდა დაიცვას მთავრობისა და ჯანდაცვის რეკომენდაციები.

ამირან გამყრელიძის აზრით, საზოგადოებამ უნდა ისწავლოს კორონავირუსთან ერთად ისე ცხოვრება, რომ მან ნაკლები ზიანი მოუტანოს ადამიანებს.

– შეზღუდვების მოხსნა უნდა მოხდეს ნელ-ნელა. დღეს უკვე დაიწყო შეზღუდვების შემსუბუქება. მე მინდა ხაზი გავუსვა, რომ ხალხს არ უნდა დარჩეს შთაბეჭდილება, რომ კორონავირუსის ინფექცია ჩვენ უკვე დავამარცხეთ საქართველოში და აწი ყველაფერი ჩვეულ რეჟიმში უნდა დაბრუნდეს.

არა, ბატონებო, ჩვენ უნდა ვისწავლოთ კორონავირუსთან ერთად ცხოვრება ისე, რომ ამან მოგვიტანოს მინიმალური ზიანი. ამიტომ ეს შემსუბუქებები უნდა იყოს ინტერვალებით, როგორც ეს საქართველოს მთავრობამ გააკეთა.

6 ეტაპია სულ. 2-კვირიანი ინტერვალებით. ერთ-ერთი ეტაპი აუცილებლად იქნება საზოგადოებრივი ტრანსპორტის დაბრუნება. ასე აკეთებს ყველა ის ქვეყანა, რომელიც შემსუბუქებებზე გადავიდა. სანამ იქამდე მივალთ, კარგად უნდა მოვემზადოთ და ყველა რეკომენდაცია აუცილებლად ზედმიწევნით უნდა დავიცვათ. მთავარი რეკომენდაციაა სოციალური დისტანცირება, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსად ლაშა ჯოხაძე დაინიშნა

თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოს ახალი უფროსი ჰყავს. აღნიშნული თანამდებობა კახა ბუხრაძის ნაცვლად, ლაშა ჯოხაძემ დაიკავა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შს სამინისტროში განუცხადეს, კახა ბუხრაძე მუშაობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე გააგრძელებს, ის მანამდე, პარალელურად, თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსიც იყო.

უწყების განმარტებით, თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობა ცალკე გამოიყო და სწორედ აღნიშნულ პოსტს დაიკავებს ლაშა ჯოხაძე.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოცნება“ გადავიდა ტოტალიტარული მართვის რეჟიმში“

არჩილ გამზარდია: „მას მოსწონს ეს მდგომარეობა, რადგან წინააღმდეგობის გამწევი არავინაა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ანალიტიკოსი **არჩილ გამზარდია** პასუხობს.

– არჩილ, სერიოზული აზრთა სხვადასხვაობაა გახარიას ეკონომიკურ გეგმაზე. დიდი ნაწილი უკმაყოფილოა იმ 200-ლარიანი დახმარებითაც, რომელიც 6 თვეზე გადანაწილდა და ჯამში 1.200 ლარს შეადგენს. ბევრი ფიქრობს, რომ პრემიერმა წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო. რას იტყვით თქვენ?

– პრემიერის გამოსვლა დავყოთ ორ ნაწილად. ერთი არის აკრძალვების მართვა და მეორე არის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა. ეს ფინანსები საარსებო მინიმუმის ფარგლებშიც არ ჯდება. გარდა ამისა, ისიც გაურკვეველია, ვინ მიიღებს და ვინ არა და რამდენად კეთილსინდისიერად მოიქცევა სახელმწიფო მოქალაქეებთან თუნდაც ამ საარსებო მინიმუმზე ნაკლები თანხით უზრუნველყოფით.

– ამ თანხის მიღებაც პრობლემა იქნება?

– მე აქ მიჩნდება სერიოზული კითხვები, რადგან ბოლო პერიოდში, ძალიან ბევრმა სოციალურ ქსელში დაწერა, რომ გაზის გადასახადები მოუვიდათ 200 კბმ-ზე ოდნავ მეტი და ანათვალი იყო არა 28-30 დღეზე, როგორც ადრე ხდებოდა, არამედ 35-37 დღეზე. გამოდის, რომ არაკეთილსინდისიერი მიდგომა აქვს სახელმწიფოს, რათა არ მოხდეს ბიუჯეტიდან დაფინანსება. თუნდაც შევხედოთ იმ ფორმას, თუ როგორ წარადგინეს ეს გაურკვეველი, ნომინალური სოციალური შესაძლებლობები. ამ ყველაფერს პოლიტიკური ელფერი აქვს და ეს ყველაფერი პოლიტიკურ პოპულიზმში გადადის.

– რას გულისხმობთ?

– ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ამუშავებენ პროპაგანდისტულ მანქანას. სახელისუფლო მედიას. ხელისუფლება ისეთი ფორმით აკეთებს ამ ყველაფერს, რომ ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი საიმისოდ, რომ ეს ყველაფერი არა იმდენად მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფას ეხება, რამდენადაც პოლიტიკურ პროცესს.

– ფინანსთა მინისტრმა პარალელი გაავლო ჩვენს ქვეყანასა და ამერიკას შორის და 1.200 ლარი 1.200 დოლარს შეადარა.

– ფინანსთა მინისტრი მთელ „ოცნების“ ხელისუფლებაში ერთ-ერთი ყველაზე მარგინალური სუბიექტია, ყველაზე მიუღებელი, ყველაზე ცინიკური და გულგრილი. თანაც, ამ ყველაფერთან ერთად, არის უგუნური, იმიტომ, რომ მოსახლეობამ ძალიან კარგად იცის, 1.200 ლარის უნარი რა არის დღეს, როდესაც ძალიან მძიმედ და ყოველდღიურ რეჟიმში იზრდება ფასები.

– ძალიან დიდ დროზე გაიწელა ხელისუფლების გეგმა და ზოგადად ეს პროცესი. საზოგადოებას უჩნდება ეჭვი, რომ ხელისუფლებას ხელს აძლევს ეს სიტუაცია, მოქმედებს, როგორც უნდა, ურტყამს ცარიელ კარში, ბურთიც მისია და მოედანიც.

– ჩემთვის კითხვები ახლა კი არ გაჩნდა, როგორც კი ეს აკრძალვები დაიწყო, მაშინვე დავიწყე ამაზე საუბარი. კი, ზომების მიღება აუცილებელი იყო ვირუსთან საბრძოლველად, მაგრამ ხელისუფლება დღემდე არაფერს ცვლის და მოსწონს კიდეც ეს სიტუაცია.

ხელისუფლება გადავიდა ტოტალიტარული მართვის რეჟიმში, მას მოსწონს ეს მდგომარეობა, რადგან წინააღმდეგობის გამწევი ქვეყანაში პრაქტიკულად არავინ არ არის. არც მედია და არც ოპოზიცია. ოპოზიცია მოსახლეობის მხრიდან ნდობით ისედაც არ სარგებლობდა და ახლა საერთოდ უუფლებოდ დარჩა. როდესაც მოინდომეს საპროტესტო აქტივობა გოგი წულაიამ და გირჩმა, ვნახეთ, თუ როგორ მოექცა მათ ხელისუფლება. ეს ორი ქეისი ბევრ რამეს ცხადყოფს. ხელისუფლებას მოსწონს სრული ძალაუფლების რეჟიმში ყოფნა.

– საკმაოდ გაამკაცრეს კანონები. პირველ ჯერზე თუ ჯარიმით შემოიფარგლებიან, მერე უკვე ციხეა.

– სწორედ მაგას ვამბობ, რომ ჯარიმა და სასჯელი უნდა იყოს ადეკვატური. დემოკრატიულ სახელმწიფოში შეზღუდვები, აკრძალვები, ჯარიმები თუ სასჯელები, არის ადამიანის უფლებებზე მორგებული, აი, ამით განსხვავდება დემოკრატიული სახელმწიფო ტოტალიტარულისგან.

ტოტალიტარულში უმძიმესად სჯიან ადამიანებს ისე, რომ არ ინტერესდებიან არანაირი სხვა გარემოებით. ჩვენთან მთელი რიგი ისეთი აკრძალვებია დაწესებული, რომლებიც ჯანდაცვის უსაფრთხოებასთან კავშირში არ არის. ჩვენი ხელისუფლება თავიდან ბოლომდე ტოტალიტარიზმშია შერეული და სწორედ ამ ფორმით მართავს ქვეყანას.

– აწყობს შემოდგომაზე „ოცნებას“ არჩევნები?

– თუ ხელისუფლებამ მოირგო ეს ნიშა და დარჩება, როგორც გამარჯვებული ხელისუფლება, მაშინ მის ინტერესშია, რაც შეიძლება დროულად ჩატარდეს არჩევნები. საზოგადოების უკმაყოფილებები უკვე დაიწყო, თუ აქამე ორი-სამი კაცი ვაპროტესტებდით მიმდინარე პრიცესებს და სხვები უწონებდნენ ხელისუფლებას გადადგმულ ნაბიჯებს და აქეზებდნენ კიდეც მეტი სიმკაცრისკენ, ახლა გაცილებით დიდია პროტესტი.

შესაბამისად თუ ხელისუფლება შეაფასებს, რომ მის მხარეს უფროა სასწორი გადაწონილი არჩევნების კუთხით, შეეცდება, დროულად ჩაატაროს არჩევნები. მაგრამ თუ ხელისუფლებამ დაინახა, რომ მოსახლეობის უკმაყოფილება ძალიან მძიმედ იზრდება, თუ სათანადოთ ვერ მოახერხა სიტუაციის მართვა, მაშინ ხელისუფლება შეეცდება, გაახანგრძლივოს არჩევნების ჩატარების თარიღი.

დღეს სიტუაცია მთლიანად ხელისუფლებას უჭირავს ხელში, საგანგებო მდგომარეობის გახანგრძლივების საკითხიც, დაავადებულთა სტატისტიკაც, მოკლედ, როცა უნდა და როგორც უნდა, ისე გამოიყენებს ამ სიტუაციას.

კახა კოჟორიძე: „ოთარ ფარცხალაძისთვის „ნარუშილოვკის“ მიცემა ჩუმად არ ჩაივლის“

21-ე საუკუნეში საქართველოს მთავრობა ვერ ახერხებს, რომ ადამიანებს ინფორმაცია მიაწოდოს

ნათია ხურცილავა

„ლელო საქართველოსთვის“ წევრი **კახა კოჟორიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო კახა, ყოფილი მთავარი პროკურორის ოთარ ფარცხალაძის ამ დღეებში რუსთაველზე მანქანით გადაადგილებასთან დაკავშირებით, თქვენ მთავრობისგან პასუხს ითხოვთ, თუ რის საფუძველზე ჰქონდა მას საშვი. ელოდებით პასუხს?

– დიახ, ჩვენ მთავრობისგან ვითხოვთ პასუხს! ოთარ ფარცხალაძე, რომელიც ერთი ჩვეულებრივი ადამიანი არის და მას არანაირი თანამდებობა არ უკავია, რუსთაველის გამზირზე გადაადგილდებოდა, მაშინ როდესაც, მთელი ქვეყანა კარანტინშია. ეს არის ფაქტი და მოცემულობა. საზოგადოებამ შესაბამისი ფოტო-ვიდეო მტკიცებულებაც იხილა. ამის შემდეგ საზოგადოებას არ მოუსმენია არც ერთი სახელისუფლო უწყების განცხადება, რის საფუძველზე ჰქონდა ფარცხალაძეს საშვი. არც ამას გვეუბნებიან და არც იმას, თუ საშვი არ ჰქონდა და მაინც გადაადგილდებოდა, ფარცხალაძემ კანონი დაარღვია და რა სამართლებრივი რეაგირება მოახდინეს.

შესაბამისად, ეს საკითხი ასე მარტივად ვერ ჩაივლის. სახელმწიფოს პირდაპირი მოვალეობაა, არავინ არ იდგეს კანონზე მაღლა და კანონი ყველასთვის ერთი იყოს. თუ ჩვენ სამართლებრივ სახელმწიფოში ვცხოვრობთ და ეს პრეტენზია გვაქვს, მაშინ კანონის წინაშე ყველა თანასწორი უნდა იყოს.

– რა დაგვანახა ამ ფაქტმა, რომ ვილაც კანონზე მაღლა დგას და რომ შეიძლება სისტემამ ამაზე თვალი დახუჭოს?

– დიახ, მთავარი პრობლემა არის არა ის, რომ კერძო პირი ოთარ ფარცხალაძე რუსთაველის გამზირზე კანონდარღვევით გადაადგილდება, ასეთი კანონდარღვევა ყოველთვის იქნება და ეს ხდება ნებისმიერ ქვეყანაში, მათ შორის ევროპის ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, აქ მთავარი არის, ამ დროს როგორ იქცევა სახელმწიფო?! იქცევა როგორც სამართლებრივ სახელმწიფოში უნდა მოიქცეს თუ იქცევა ისე, როგორც იქცევა?!

ფაქტია, რომ საზოგადოება ხედავს, მთავრობასთან დაახლოებული პირები მეგობრებით, ნაცნობებით თუ კიდევ სხვა რაღაცით სარგებლობენ, მაგრამ ამაზე სახელმწიფოს რეაგირება ნული სტოლია. ეს მძიმე ამბავია. ეს უფრო მძიმე ამბავია, ვიდრე ის, რომ ფარცხალაძე გადაადგილდებოდა რუსთაველის გამზირზე. რადან ამ შემთხვევაში ერთი ოთარ ფარცხალაძე კერძო პირია და იქნებიან ასეთი კერძო პირები, რომლებიც კანონს დაარღვევენ, მაგრამ სახელმწიფო და ხელისუფლება სხვაა. სახელმწიფო თუ არ ახდენს ამაზე რეაგირებას, მაშინ მთლიანად სისტემის მანკიერებასთან გვაქვს საქმე. ისევ საძმო და სანაცნობო მოდის წინა პლანზე. შეიძლება გლეხი, ვისაც კიტრი ულპეპა, გადაადგილებისთვის დაჯარიმდეს, მაგრამ ეს ჯარიმა არ შეეხება ფარცხალაძეს. რა თქმა უნდა, ეს არის სისტემური პრობლემა. ე.წ. ნარუშილოვკები ბლომად იყო ამ დღეებში. ამ შეზღუდვების დროს შეგეძლოთ ფანჯარა გამოგეღოთ და გენახათ, რამდენი მანქანა გადაადგილდებოდა თბილისის ქუჩებში. არა მგონია, ყველა მათგანს ეს საშვები ლეგიტიმურად ჰქონოდა.

– შეიძლება პასუხი ასეთი იყოს, რომ ის ჯდებოდა იმ ჩამონათვალში, ვისთვისაც სპეციალური საშვები იყო დაშვებული.

– გამორიცხული არაფერი არ არის. ჩვენ, პირდაპირ ვიტყვი, ნებისმიერ სისულელეს ველოდებით ამ შემთხვევაში. ამ დარღვევის „გასაპრავებლად“ შეიძლება ბევრი რამ თქვან, ვერ გეტყვით, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად ვიცი, ეს საკითხი რეაგირების გარეშე ვერ დარჩება. ჩვენ მოვითხოვთ, ე.წ. გავლენიანი ადამიანების და სხვა მოქალაქეების მიმართ ერთნაირი არის თუ არა კანონის მიდგომა, ეს დაგვიმტკიცონ. გარწმუნებთ, ეს ამბავი ასე ჩუმად ვერ ჩაივლის. ჩვენ მიერ დასმულ კითხვებზე, როგორც მინიმუმ, პოლიტიკურად მოუწევთ პასუხის გაცემა. მთავარი ამბავი აქ არის არა ოთარ ფარცხალაძე, არამედ ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც ეს სისტემა შექმნა. მთელ სისტემაში არ გამოჩნდება ადამიანი და ამ შემთხვევაში მე რიგით პოლიციელებზე არ ვსაუბრობ, ვსაუბრობ მაღალი თანამდებობის პირებზე, რომლებიც ვალდებულნი არიან შექმნან ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს, ყველა თანასწორი იყოს კანონის წინაშე. შეგუება იმასთან, რომ ასეთი პრობლემები გავატაროთ, ნიშნავს იმას, რომ ვეგუებით, არ გვაქვს თანასწორუფლებიანი სახელმწიფო.

– საგამონაკლისო წესით, საქალაქთაშორისო გადაადგილებასთან დაკავშირებით, თქვენ სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებას ითხოვთ. ამ შემთხვევაშიც გაქვთ ეჭვი, რომ გამონაკლისები შეიძლება იყოს?

– პრემიერ-მინისტრისგან ზეპირი განცხადებით მოვისმინეთ ამის შესახებ, მაგრამ არანაირი სამართლებრივი აქტი არ არის გამოცემული. ვის ეხება ეს საგამონაკლისო წესი, ადამიანებისთვის გაუგებარია. ათასობით ადამიანს ეხება საკითხები და ამაზე არ გვაქვს სამართლებრივი აქტი გამოცემული.

ადამიანებს აქვთ კითხვა, მაგალითად, ვის ეხება დახმარება, რა დოკუმენტები უნდა წარადგინონ, როგორ უნდა მოიქცნენ ისინი, როგორ უნდა დაამტკიცონ, რომ, მაგალითად, დაკარგეს სამუშაო ადგილი, შემოსავალი, უამრავი ლეგიტიმური კითხვა არსებობს ამ საკითხზე, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, არ არსებობს არანაირი სამართლებრივი აქტი. ეს წარმოუდგენელია.

– რატომ, რა შეიძლება მიზეზი იყოს?

– არ ვიცი, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე რომში საჯარო ადგილას აკრავდნენ, რომ ადამიანებს წაეკითხათ, რისი უფლება ჰქონდათ და რისი – არა. ხომ არ შეიძლება ზეპირი განცხადებებით დარეგულირდეს ეს საკითხი. საკანონმდებლო ჩარჩოდან არიან გასულები. ფაქტიურად საკანონმდებლო რეგულაციები მთავრობამ დაივიწყა. შეიძლება ეს ყველაფერი ემსახურება იმას, რომ გაწერილი სამართლებრივი აქტების არარსებობის პირობებში, თავიანთ ზეპირ განცხადებებს, როგორც უნდათ, ისე გამოიყენებენ.

რუსეთმა ევრაზიული კავშირის ფარგლებს გარეთ მარცვლეულის ექსპორტი შეაჩერა

რომელი კვების ობიექტები გადარჩებიან კორონაკრიზისის შემდეგ?

მარიამ მჭედლიშვილი

რუსეთმა აქამდე არსებულ სასურსათო შეზღუდვებს ახალი განმარტება დაამატა – შეჩერდა მარცვლეულის ექსპორტი იმ ქვეყნებში, რომლიც არ შედიან ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში. საუბარია ხორბალზე, ჭვავზე, ქერზე, სიმინდზე, ხორბლისა და ჭვავის ნარევზე. აკრძალვა 1 ივლისამდე გასტანს. მანამდე დადგინდება ახალი საექსპორტო კვოტები. 1 ივლისამდე განსაზღვრული კვოტა 7 მილიონ ტონა მარცვლეულს შეადგენს.

მოსკოვმა სურსათის გატანა 12 აპრილს აკრძალა. იმ დროიდან მოყოლებული რუსეთი აღარ ახდენს ჭვავის, წიწიბურას, ბრინჯისა და სხვა პროდუქტების ექსპორტს.

ახლანდელ გადაწყვეტილებას ხსნიან მარცვლეულის ფასების სტაბილიზირებისა და ქვეყნის შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილების აუცილებლობით.

საქართველოში ხორბლისა და ფქვილის იმპორტის ახალი გზების ძიებაზე კოვიდ-ინფექციამდეც საუბრობდნენ. ეპიდემიის შემდეგ ეს უფრო აქტუალური გახდა.

საქართველოს მოსახლეობაში, სხვა სახის პანიკასთან ერთად, არსებობს მოახლოებული შიმშილის განცდა. ის განპირობებულია არა მარტო უფულობით, არამედ, პროდუქტების გაქრობისა და ნაკლებობის მძიმე პერსპექტივით.

ეს შიში უსაფუძვლო არ არის. გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის ხელმძღვანელმა ბიზლიმ ცოტა ხნის წინ გამოაცხადა, რომ კაცობრიობა რამდენიმე თვის შემდეგ დადგება ბიბლიური შიმშილის წინაშე, თუ დროულად არ მიიღებს ზომებს სასურსათო უსაფრთხოებისათვის.

უცხოელი ექსპერტების შეფასებით, კორონავირუსის პანდემიამ განსაკუთრებული დარტყმა მიაყენა მესამე სამყაროს, ანუ განვითარებად ქვეყნებს. მათზე მოდის მსოფლიო შიდა პროდუტის 60%. მათგან გამოწვეული კოლაფსი გადაეცემა განვითარებულ ქვეყნებს.

მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა უკრაინა. უკრაინელი სპეციალისტები აცხადებენ, რომ ქვეყანას დიდი ზიანი მიაყენა პროტექციონისტულმა პოლიტიკამაც. კერძოდ, თურქეთმა გააჩერა უკრაინელი გადამზიდავები და სატვირთო მანქანები იმ დროს, როცა რუსეთისა და ბელარუსისათვის ჯერ შეზღუდვები არ მოქმედებდა.

უკრაინაში პროგნოზირებენ, რომ შერჩევითი მიდგომა და პროტექციონიზმი გლობალური ეკონომიკის აღდგენის შემდეგაც გაგრძელდება იმ შემთხვევაში, თუ წესების დამრღვევები არ დაისჯებიან.

წელს, ასევე დიდი ალბათობით, მომავლ წლებშიც, მსოფლიოში ტურიზმის გაფურჩქვნის ხანას არავის ელოდება.

ეს განსაკუთრებით მძიმე იქნება საქართველოსთვის, რომლის ეკონომიკის დიდი ნაწილი ტურიზმს ეკავა.

საქართველოში სარესტორნე ბიზნესი ტურისტების გარეშეც მუშაობდა. უცხოელი ექსპერტების პროგნოზით, კორონაკრიზისის შემდეგ კვების ყველა ობიექტი ვერ გადარჩება. მათი ნაწილი დაიხურება. ხალხის ნაწილი თავიდან რესტორნებს სიხარულით მიაშურებს, შემდეგ კი ცხოვრების დონის დაცემის გამო ადამიანები იქ ვერ ივლიან. დახურული რესტორნების მაგივრად მოგვიანებით სხვები გაიხსნება. მათ მსხვილი ბიზნესმები დააფუძნებენ.

უცხოელი ექსპერტები რჩევებს იძლევიან. მათი აზრით, იმისთვის, რომ რესტორანი ან კაფე გადარჩეს, მათ უნდა მოახდინონ მენიუს ოპტიმიზაცია, ფასების შეცვლა და ბონუსების დაწესება. აუცილებელია ადგილზე მიტანის მომსახურება. სასურველია ბრენდების ერთმანეთთან დაკავშირება და თანამშრომლობა.

საქართველოს ხელისუფლება უმძიმესი გამოწვევის წინაშე დგას. სოციალური სუბსიდიები ყველა პრობლემას არ წყვეტს. მას მოუწევს ლაბირინთიდან გამოსვლა ტურიზმის გარეშე, შეცვლილი ბაზრისა და წესების, სასურსათო კოლაფსის პირობებში.

საქმე №010210620003487149
№2-616/2020

5884386852630
www.ecd.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით
საჯარო შეტყობინების შესახებ

24.02.2020 წელი **ქ. ბათუმი**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე – სალიხ შაინიძე

განმცხადებელი – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველო

მოთხოვნის არსი – ქონების უპატრონოდ ცნობა

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 337-341-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. გამოქვეყნდეს საჯარო შეტყობინება (ცნობა) გაზეთში „ახალი თაობა“ შემდეგი სახით:

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე სალიხ შაინიძის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე (№2-616/20), საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს განცხადებისა გამო, ქონების უპატრონოდ ცნობის თაობაზე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს მიერ 2018 წლის სექტემბრის თვიდან 2019 წლის ოქტომბრის ჩათვლით ამოღებული იქნა ზღვაში უკანონოდ ჩადგმული შემდეგი თევზსაჭერი იარაღები, ასევე უკანონოდ მოპოვებული 3 ცალი ზღვის კატა და 1 ცალი კამბალა (კალკანი):

1. 24.09.2018წ. ფოთში, ნაბადას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 100მ. თვლისზომა 22X22მმ.

2. 06.10.2018წ. კვარიათის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიმაღლე 2,60მ. თვლისზომა 26მმ.

3. 07.10.2018წ. კვარიათის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: კედლის სიმაღლე 1,80მ. თვლისზომა 35/35მმ.

4. 16.10.2018წ. ბობოყვათის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიმაღლე 1,70მ. თვლისზომა 20მმ., სიგრძე 43მ.

5. 21.10.2018წ. მწვანე კონცხის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიმაღლე 1,40მ. თვლის ზომა 22მმ.

6. 24.10.2018წ. კვარიათის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: კედლის სიმაღლე 2მ. თვლის ზომა 185/24/185.

7. 25.01.2019წ. ბათუმის საზღვაო ნავსადგურსა და მის მიმდებარე წყლებში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიმაღლე 1,30მ. თვლისზომა 180/18/180.

8. 28.01.2019წ. ყულევის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 200მ. თვლისზომა 26X26მმ.

9. 01.02.2019წ. მახინჯაურის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიმაღლე 1,40მ. თვლის ზომა 60/80.

10. 05.02.2019წ. ჩაქვის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიგრძე 40მ., კედლის სიმაღლე 1,40მ. თვლის ზომა 40მმ.

11. 12.02.2019წ. ბობოყვათის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიმაღლე 2მ. თვლის ზომა 200/60/200.

12. 15.02.2019 წნანაკლიის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 200მ. თვლის ზომა 100X100მმ.

13. 21.02.2019წ. მწვანე კონცხის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიმაღლე 2მ. თვლის ზომა 300/40/300.

14. 05.03.2019წ. ჭოროხის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიმაღლე 1,40მ. თვლის ზომა 160/18/160.

15. 05.03.2019წ. ჭოროხის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა ორი ერთმანეთზე გადაბმული ბადე პარამეტრებით: სიმაღლე 1,70მ. თვლისზომა 18-16,5მმ.

16. 05.03.2019წ. ჭოროხის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიმაღლე 1,30მ. თვლის ზომა 115/24/115მმ.

17. 05.03.2019წ. ჭოროხის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიმაღლე 1,20მ. თვლის ზომა 160/18/160.

18. 06.03.2019წ. ქობულეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით:კედლისსიმაღლე 1,80მ. თვლის ზომა 18მმ.

19. 06.03.2019წ. ქობულეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: კედლისსიმაღლე 1,80მ. თვლისზომა 140მმ.

20. 10.03.2019წ. ქობულეთისსაზღვაორაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით:კედლის სიმაღლე 1,60მ. თვლის ზომა 18მმ.

21. 19.03.2019წ. განმუხურის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 50მ. თვლის ზომა 24X24მმ.

22. 09.04.2019წ. ფოთში, ნაბადას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 5 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 200მ. თვლის ზომა 22X22მმ. 2. 150მ. თვლის ზომა 20X20მმ. 3. 50მ. თვლის ზომა 20X20მმ. 4. 25მ. თვლის ზომა 20X20მმ. 5. 25მ. თვლის ზომა 20X20მმ

23. 12.04.2019წ. ფოთში, ნაბადას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 30მ. თვლის ზომა 26X26მმ. 2. 30მ. თვლის ზომა 26X26მმ.

24. 13.04.2019წ. ქობულეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: კედლის სიმაღლე 1,50მ. თვლის ზომა 28მმ.

25. 13.04.2019წ. ქობულეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: კედლის სიმაღლე 1,80მ. თვლის ზომა 90მმ.

26. 14.04.2019წ. ქობულეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: კედლისსიმაღლე 3,00მ. თვლის ზომა 18მმ.

27. 29.04.2019წ. განმუხურის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 300მ. თვლის ზომა 100X100მმ.

28. 01.05.2019წ. ურეკის საზღვაორაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 3 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 25მ. თვლის ზომა 20X20მმ. 2. 20მ. თვლის ზომა 24X24მმ. 3. 40მ. თვლის ზომა 26X26მმ.

29. 05.05.2019წ. ფოთში, შუქურას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 100მ. თვლის ზომა 100X100მმ.

30. 05.05.2019წ. ფოთში, შუქურას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 30მ. თვლისზომა 20X20მმ.

31. 05.05.2019წ. გრიგოლეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 40მ. თვლისზომა 24X24მმ.

32. 11.05.2019წ. ფოთში, ნაბადას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 50მ. თვლის ზომა 20X20მმ.

33. 13.05.2019წ. ფოთში, შუქურას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 5 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 70მ. თვლისზომა 30X30მმ. 2. 50მ. თვლის ზომა 32X32მმ. 3. 40მ. თვლის ზომა 30X30მმ. 4. 30მ. თვლის ზომა 32X32მმ. 5. 80მ. თვლის ზომა 30X30მმ.

34. 13.05.2019წ. გრიგოლეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნასა ხლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 100მ. თვლის ზომა 32X32მმ.

35. 12.05.2019წ. ყულევის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1000მ. თვლის ზომა 100X100მმ.

36. 14.05.2019წ. ფოთში, ნაბადას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 20მ. თვლის ზომა 32X32მმ. 2. 20მ. თვლის ზომა 32X32მმ.

37. 16.05.2019წ. მალთაყვას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 300მ. თვლის ზომა 30X30მმ.

38. 20.05.2019წ. ფოთში, შუქურას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 3 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 30მ. თვლის ზომა 22X22მმ. 2. 30მ. თვლის ზომა 22X22მმ. 3. 30მ. თვლის ზომა 22X22მმ.

39. 21.05.2019წ. ყულევის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 600მ. თვლის ზომა 100X100მმ., ასევე 3 ცალი ზღვის კატადა 1 ცალი კამბალა (კალკანი).

40. 23.05.2019წ. მალთაყვას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 30მ. თვლის ზომა 24X24მმ. 2. 30მ. თვლის ზომა 20X20მმ

41. 27.05.2019წ. ანაკლიის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 70მ. თვლის ზომა 30X30მმ. 2. 65მ. თვლის ზომა 32X32მმ.

42. 28.05.2019წ. შეკვეთილის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 50მ. თვლის ზომა 20X20მმ. 2. 70მ. თვლის ზომა 30X30მმ.

43. 28.05.2019წ. ფოთში, შუქურას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 30მ. თვლის ზომა 20X20მმ. 2. 40მ. თვლის ზომა 30X30მმ.

44. 30.05.2019წ. ფოთში, შუქურას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 40მ. თვლის ზომა 20X20მმ.

45. 30.05.2019წ. ფოთში, ნაბადას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 40მ. თვლის ზომა 26X26მმ.

46. 01.06.2019წ. ფოთში, შუქურას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 40მ. თვლის ზომა 30X30მმ

47. 01.06.2019წ. ყულევის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 3 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 30მ. თვლის ზომა 20X20მმ 2. 40მ. თვლის ზომა 25X25მმ. 3. 60მ. თვლის ზომა 30X30მმ

48. 03.06.2019წ. ფოთში, მალთაყვას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 50მ. თვლის ზომა 30X30მმ 2. 40მ. თვლის ზომა 24X24მმ

49. 04.06.2019წ. ფოთში, მალთაყვას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 80მ. თვლის ზომა 28X28მმ.

50. 05.06.2019წ. ფოთში, შუქურას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 60მ. თვლის ზომა 20X20მმ

51. 06.06.2019წ.ფოთში, შუქურას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 30მ. თვლის ზომა 24X24მმ.

52. 07.06.2019წ. ფოთში, მალთაყვას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 40მ. თვლის ზომა 24X24მმ.

53. 08.06.2019წ. ფოთში, შუქურას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნასა ხლართი ბადე, 3 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 40მ. თვლის ზომა 20X20მმ. 2. 40მ. თვლის ზომა 24X24მმ. 3. 40მ. თვლის ზომა 28X28მმ.

54. 08.06.2019წ. ფოთში, ნაბადასსაზღვაორაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 3 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 50მ. თვლის ზომა 30X30მმ. 2. 50მ. თვლის ზომა 28X28მმ. 3. 50მ. თვლის ზომა 30X30მმ.

55. 14.06.2019წ. ფოთში, შუქურას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 40მ. თვლის ზომა 24X24მმ.

56. 17.06.2019წ. განმუხური-ანაკლიის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 7 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 10მ. თვლის ზომა 28X28მმ. 2. 40მ. თვლის ზომა 30X30მმ. 3. 30მ. თვლის ზომა 30X30მმ. 4. 30მ. თვლის ზომა 30X30მმ. 5. 30მ. თვლის ზომა 30X30მმ. 6. 30მ. თვლის ზომა 30X30მმ. 7. 30მ. თვლის ზომა 30X30მმ.

57. 04.07.2019წ. ანაკლიის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 400მ. თვლის ზომა 150X150მმ.

58. 09.07.2019წ. ყულევის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 3 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 30მ. თვლისზომა 28X28მმ. 2. 50მ. თვლისზომა 30X30მმ. 3. 25მ. თვლისზომა 26X26მმ.

59. 19.09.2019წ. ფოთში, ნაბადას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 4 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 30მ. თვლის ზომა 20X20მმ. 2. 30მ. თვლის ზომა 24X24მმ. 3. 20მ. თვლის ზომა 20X20მმ. 4. 20მ. თვლის ზომა 20X20მმ.

60. 27.09.2019წ. ნაბადასა და მალთაყვას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 4 ერთეული სოდენობით, პარამეტრებით: 1. 100მ. თვლის ზომა 30X30მმ. 2. 100მ. თვლის ზომა 28X28მმ. 3. 30მ. თვლის ზომა 24X24მმ. 4. 40მ. თვლის ზომა 20X20მმ.

61. 01.10.2019წ. სუფსის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 4 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 100მ. თვლის ზომა 30X30მმ. 2. 100მ. თვლის ზომა 30X30მმ. 3. 90მ. თვლის ზომა 30X30მმ. 4. 90მ. თვლის ზომა 28X28მმ.

62. 10.10.2019წ. ფოთში, მალთაყვას საზღვაორაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 30მ. თვლის ზომა 26X26მმ. 2. 30მ. თვლის ზომა 26X26მმ.

63. 14.10.2019წ. ფოთში, მალთაყვას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 3 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 100მ. თვლის ზომა 40X40მმ. 2. 100მ. თვლის ზომა 26X26მმ. 3. 100მ. თვლის ზომა 35X35მმ

64. 14.10.2019წ. განმუხურის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 3 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 70მ. თვლის ზომა 30X30მმ. 2. 20მ. თვლის ზომა 30X30მმ. 3. 20მ. თვლის ზომა 30X30მმ

65. 15.10.2019წ. ყულევის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 7 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 100მ. თვლის ზომა 26X26მმ. 2. 100მ. თვლის ზომა 35X35მმ. 3. 20მ. თვლის ზომა 22X22მმ. 4. 20მ. თვლის ზომა 26X26მმ. 5. 10მ. თვლის ზომა 26X26მმ. 6. 10მ. თვლის ზომა 24X24მმ. 7. 10მ. თვლის ზომა 24X24მმ.

66. 16.10.2019წ. ანაკლიის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 3 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 100მ. თვლის ზომა 35X35მმ. 2. 100მ. თვლის ზომა 26X26მმ. 3. 50მ. თვლის ზომა 40X40მმ.

67. 16.10.2019წ. ფოთში, მალთაყვას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 12 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 30მ. თვლის ზომა 24X24მმ. 2. 50მ. თვლის ზომა 30X30მმ. 3. 40მ. თვლის ზომა 30X30მმ. 4. 20მ. თვლის ზომა 20X20მმ. 5. 30მ. თვლის ზომა 24X24მმ. 6. 30მ. თვლის ზომა 20X20მმ. 7. 20მ. თვლის ზომა 24X24მმ. 8. 20მ. თვლის ზომა 20X20მმ. 9. 15მ. თვლის ზომა 20X20მმ. 10. 15მ. თვლის ზომა 20X20მმ. 11 15მ. თვლის ზომა 22X22მმ. 12. 15მ. თვლის ზომა 20X20მმ.

68. 17.10.2019წ. სუფსის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 3 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 120მ. თვლის ზომა 30X30მმ. 2. 20მ. თვლის ზომა 30X30მმ. 3. 20მ. თვლის ზომა 30X30მმ.

4. განემარტოთ დაინტერესებულ პირებს, რომ თუ მათ გააჩნიათ პრეტენზია ზემოაღნიშნული ნაპოვნი საქონლის უპატრონოდ ცნობაზე, რომელთა უპატრონოდ ცნობასაც მოითხოვს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველო, შეუძლიათ თავიანთი უფლებების შესახებ განაცხადონ ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.30) 3 თვის განმავლობაში დღიდან პუბლიკაციისა;

5. თუ სასამართლოში შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, მაშინ სასამართლო თავისი განჩინებით განუხილველად ტოვებს განცხადებას ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ და წინადადებით მიმართავს განმცხადებელს, აღძრას აღიარებითი სარჩელი იმ პირის მიმართ, რომელმაც განაცხადა თავისი უფლება ქონებაზე. თუ დანიშნული ვადის გასვლამდე სასამართლოში არ შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, სასამართლო განიხილავს საქმეს და გამოჰკითხავს იმ პირებს, რომელთაც შეუძლიათ ცნობების მიწოდება ქონების კუთვნილების შესახებ, აგრეთვე გამოითხოვს ცნობებს შესაბამისი ორგანოებიდან.

6. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

მოსამართლე **სალიხ შაინიძე**

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. გამოქვეყნდეს საჯარო შეტყობინება (ცნობა) გაზეთში „ახალი თაობა“ შემდეგი სახით:

2. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე დარინა აბულაძის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე (№2/465-20) სსიპ შემოსავლების სამსახურის განცხადებისა გამო, ქონების უპატრონოდ ცნობის თაობაზე.

3. უპატრონოდ საცნობ ქონებას წარმოადგენს:

3.1. უაქციზო თამბაქოს ნაწარმი „მანჩესტერი“, (MANCHESTER“) წითელი ფერის – 200 (ორასი) კოლოფი)), რომელიც დროებით შენახვის მიზნით განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქ.ზუგდიდი, გამარჯვების № 1)

4. განემარტოთ დაინტერესებულ პირებს, რომ თუ მათ გააჩნიათ პრეტენზია ზემოაღნიშნული ნაპოვნი „საქონლის უპატრონოდ ცნობა“-ზე, რომლის უპატრონოდ გამოცხადებასაც მოითხოვს სსიპ შემოსავლების სამსახური, შეუძლიათ თავიანთი უფლებების შესახებ განაცხადონ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქ.№11) 3 თვის განმავლობაში დღიდან პუბლიკაციისა;

5. თუ სასამართლოში შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, მაშინ სასამართლო თავისი განჩინებით განუხილველად ტოვებს განცხადებას ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ და წინადადებით მიმართავს განმცხადებელს, აღძრას აღიარებითი სარჩელი იმ პირის მიმართ, რომელმაც განაცხადა თავისი უფლება ქონებაზე. თუ დანიშნული ვადის გასვლამდე სასამართლოში არ შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, სასამართლო განიხილავს საქმეს და გამოჰკითხავს იმ პირებს, რომელთაც შეუძლიათ ცნობების მიწოდება ქონების კუთვნილების შესახებ, აგრეთვე გამოითხოვს ცნობებს შესაბამისი ორგანოებიდან.

6. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

მოსამართლე **დარინა აბულაძე**

ცხინვალს მეორე სახელად სტალინირი ეწოდა

ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ე.წ. პრეზიდენტმა, ანატოლი ბიბილოვმა ქალაქ ცხინვალს მეორე სახელად „სტალინირის“ წოდების ბრძანებას ხელი მოაწერა. აღნიშნული გადაწყვეტილება მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების 75-ე წლისთავთან დაკავშირებით მიიღეს. გავრცელებული ინფორმაციით, „აღნიშნულ მეორე დასახელებას სამამულო ომთან დაკავშირებული ღონისძიებების დროს გამოიყენებენ“.

ამასთან, ბიბილოვმა მთელ რიგ ორგანიზაციებს დაავალა, გაატარონ ღონისძიებები „ქალაქ სტალინირის ისტორიული სახელის პოპულარიზაციის მიზნით“.

ძიძები, მძღოლები, ფიზიკურ პირებთან მომუშავე ადამიანები დახმარებას ვერ მიიღებენ

ძიძები, მძღოლები, ფიზიკურ პირებთან მომუშავე ადამიანები დახმარებას ვერ მიიღებენ. ამის შესახებ დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ, თამარ ბარკალაიამ განაცხადა.

ბარკალაიას თქმით, თვითდასაქმებულთა აღრიცხვა არ არსებობს, განსაკუთრებით, არაფორმალურ სექტორში დასაქმებულები და მოქალაქეები მხოლოდ იურიდიული ცნობის საფუძველზე შეძლებენ დახმარებების მიღებას.

– ეს შეიძლება იყოს ცნობა სასურსათო მაღაზიიდან, რომელიც ადასტურებს, რომ იბარებდა კონკრეტული მცხობელის პროდუქციას, შეიძლება იყოს მაღაზიის ადმინისტრაციის ცნობა, რომ მას ჰქონდა ფართი ნაქირავები, შეიძლება იყოს საბანკო ამონაწერი, სადაც ფიქსირდება გადმორიცხვები და ა.შ.

ბარკალაია განმარტავს, რომ ეს ყველაფერი ჩაითვლება შემოსავლის დადასტურების წყაროდ, რომლის წარდგენის შემთხვევაში, ადამიანები დახმარების მიღებას შეძლებენ. ფიზიკურ პირებთან მომუშავე ადამიანები, სამწუხაროდ, ვერ მიიღებენ დახმარებას, იქიდან გამომდინარე, რომ ფიზიკური პირის მიერ მიღებული დადასტურება ვერ იქნება საკმარისი.

– იურიდიული პირის მიერ უნდა იყოს ცნობა აუცილებლად გაცემული. იმ შემთხვევაში, თუ მძღოლად მუშაობდა ან ტაქსის მძღოლი იყო, ამ შემთხვევაში ლიცენზია იქნება საკმარისი. თუმცა, თუ ის მძღოლად მუშაობდა ოჯახში, ოჯახის წერილი, სამწუხაროდ, არ იქნება საკმარისი, – განაცხადა ბარკალაიამ.

მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, თვითდასაქმებულთა და არაფორმალურად დასაქმებულთა რეგისტრაცია 21 მაისიდან დაიწყება და პირველ ივნისს დასრულდება.

ონლაინპორტალი, რომელიც სპეციალურად აღნიშნულ პირთა რეგისტრაციისთვის იქმნება, მალე განთავსდება ჯანდაცვის სამინისტროს ვებგვერდზე. ისინი, ვისთვისაც ონლაინ რეგისტრაცია ხელმისაწვდომი არ არის, მომსახურებას სოციალური მომსახურების ტერიტორიულ ორგანოებში მიიღებენ.

ხათუნა ზახაშვილი: „ხელთათმანების უთავბოლო ან არასწორმა გამოყენებამ, შესაძლოა, ზიანი მოგიტანოთ“

ხელთათმანების უთავბოლო ან არასწორმა გამოყენებამ, შესაძლოა, ზიანი მოგიტანოთ, – ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპრატამენტის ხელმძღვანელმა ხათუნა ზახაშვილმა განაცხადა. ხათუნა ზახაშვილი მოქალაქეებს ხელთათმანების გამოყენებისას სიფრთხილის გამოჩენისკენ მოუწოდებს.

– ხელთათმანების გამოყენებისას ფრთხილად იყავით, არ ჩათვალოთ, რომ რადგან ხელთათმანი გიკეთიათ, უსაფრთხოდ ხართ. ხელთათმანი ისევე ისვრება, როგორც ჩვენი ხელები და თუ არ მოხდა ხელთათმანის ხშირი ცვლა, იგივე საფრთხეებს შეგიქმნით ხელთათმანი, რასაც თქვენივე დაბინძურებული ხელები. უმჯობესია ხელი ხშირად დაიბანოთ, ვიდრე ხელთათმანი გამოიყენოთ გამოცვლის გარეშე, მთელი დღე გეკეთოთ ერთი და იგივე დაუმუშავებელი ხელთათმანი და ამით გაზარდოთ თქვენი ჯანმრთელობისთის რისკები, – განაცხადა ზახაშვილმა.

ყინწვისის მამათა მონასტრის სასულიერო პირი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს

ყინწვისის მამათა მონასტრის სასულიერო პირებს შორის ცეცხლსასროლი იარაღით გარჩევის ფაქტზე, სასულიერო პირი დააკავეს.

დაკავებულს განზრახ მკვლელობის მცდელობა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება ედება ბრალად.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქალაქ ქარელში, 1986 წელს დაბადებული კ.კ. განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დგინდება, რომ ბრალდებულმა, გორის რაიონის სოფელ რიეთის საავტომობილო გზაზე გადაადგილებისას, სავარაუდოდ, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გაუხსნა დაზარალებულის მართვის ქვეშ მყოფ ავტომანქანას, რის შემდგომაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. გამოძიება გრძელდება სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვას გულისხმობს“ – აცხადებენ შსს-ში.

შეგახსენებთ, რომ ყინწვისის მამათა მონასტრის სასულიერო პირებს შორის დაპირისპირება რამდენიმე დღის წინ მოხდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 115 ფაქტი გამოავლინა

პოლიცია, საქართველოს მთავრობის მიერ საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში ზომების მნიშვნელოვანი გამკაცრების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მოთხოვნების აღსრულების და ე.წ. კომენდანტის საათის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვების დამრღვევი პირების გამოვლენის მიზნით, 24-საათიან რეჟიმში მუშაობას განაგრძობს. შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

ბოლო 24 საათის განმავლობაში, სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის და ე.წ. კომენდანტის საათის შეზღუდვების დარღვევის 115 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ, 26 აპრილის 21 საათიდან 27 აპრილის დილის 6 საათამდე, ე.წ. კომენდანტის საათის დარღვევის ფაქტზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით 68 მოქალაქე დააჯარიმა.

მონიტორინგის შედეგად, თვითიზოლაციის წესების დარღვევის 1 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

სამართალდამცველებმა მგზავრთა გადაყვანისა და ავტომობილით გადაადგილების წესის დარღვევის ფაქტზე კიდევ 23 პირი დააჯარიმეს.

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, საჯარო სივრცეში 3-ზე მეტი პირის შეკრების და 2-მეტრიანი სოციალური დისტანციის დაუცველობის გამო, სულ 23 მოქალაქე დააჯარიმეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაიცვას საგანგებო რეჟიმი და დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას – ფიზიკური პირის დაჯარიმებას 3.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 15.000 ლარით.

ახვლედიანის აღმართზე ქალის ცხედარი იპოვეს

თბილისში, ახვლედიანის აღმართზე ქალის ცხედარი იპოვეს. არსებული ინფორმაციით, 50 წლამდე ქალი საცხოვრებელი სახლის ფანჯრიდან გადმოვარდნის შედეგად გარდაიცვალა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

უკრაინაში რუსების ნების შემსრულებელი გენერალი „შაიტანი“ დააპატიმრეს

ვის მკვლელობას გეგმავდა მოღალატე გენერალი

ბოლო დღეებია, უკრაინაში განხილვის ერთ-ერთ მთავარ თემად უკრაინელი გენერლის ღალატი და ჯაშუშური თამაშები იქცა. უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა საკუთარი უწყების მაღალჩინოსანი, გენერალ-მაიორი ვალერი შაიტანოვი დააპატიმრა. მას ბრალად რუსეთის სპეცსამსახურებზე მრავალწლიან მუშაობას და ტერორისტული აქტის ორგანიზებას უყენებენ. ბრალდებების გასამყარებლად და ერთ-ერთი სამხილის სახით უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა აუდი ფაილები გაასაჯაროვა, რომელთა მიხედვითაც, შაიტანოვი რუსეთის სპეცსამსახურის თანამშრომელთან კონკრეტული მკვლელობის დეტალებს განიხილავს. უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის ივან ბაკანოვის თქმით, „სამწუხაროდ, ადამიანი, რომელმაც „ღირსების რევოლუციის“ შემდეგ გენერლის წოდება მიიღო და რომელსაც უკრაინა უნდა დაეცვა, სინამდვილეში მის წინააღმდეგ მუშაობდა.“

უკრაინელი სამართალდამცველების ინფორმაციით, შაიტანოვი რუსების დავალებით, ცნობილი, ეთნიკურად ჩეჩენი მებრძოლის ადამ ოსმაევის მკვლელობას გეგმავდა, რომელიც წლებია უკრაინის მხარეზე, რუსეთის წინააღმდეგ იბრძვის. სხვათა შორის, 2017 წელს ოსმაევის ლიკვიდაცია ორჯერ სცადეს, ბოლო და განსაკუთრებით რეზონანსული თავდასხმის დროს მისი მეუღლე – ამინა ოკუევა დაიღუპა.

რაც შეეხება გენერალ-მაიორ შაიტანოვს, ის უკრაინულ სპეცსამსახურებში წლებია მუშაობდა და საკმაოდ დიდი წონაც ჰქონდა. იგი სპეციალური ოპერაციების ერთ-ერთ ცენტრს ხელმძღვანელობდა და როგორც გამოძიების მასალებიდან მკაფიოდ ჩანს, პირდაპირ კონტაქტზე იყო „ეფ-ეს-ბე“-ს პოლკოვნიკ იგორ ეგოროვთან. ამ კურატორის დავალებით, გენერალმა შაიტანოვმა ადამ ოსმაევის მკვლელობა დაგეგმა და შემსრულებელიც აიყვანა, რომელიც სპეცდანაყოფების ყოფილი მებრძოლი იყო. ეგოროვი კი ამ ყველაფრის საფასურად 200 ათას დოლარს, რუსეთის ფედერაციის მოქალაქის პასპორტს და თადარიგის ოფიცრის მოწმობას ჰპირდებოდა. საუბრების დროს, მათ ოსმაევს „მარადონა“, „კაპიტანი“ შეარქვეს და „უსასრულო ნადირობის ქვეყანაში“ გაშვება დაუგეგმეს.

აუდიოფაილები უკრაინელმა სამართალდამცველებმა უკვე გამოაქვეყნეს. მკვლელობის დაგეგმვის დროს საუბარია იმაზეც, თუ როგორ უნდა მოხდეს კვალის დაფარვა, წილების გადანაწილება და სხვა. უკრაინის უსაფრთხოების სამსახური აცხადებს, რომ „პოლკოვნიკი ეგოროვი „ეფ-ეს-ბე“-ს კონტრდაზვერვის ოპერაციების სამსახურის თანამშრომელია, რომლის სპეციალობაში სადაზვერვო და ტერორისტული აქციების დაგეგმვა, ორგანიზება და შესრულება შედიოდა როგორც უკრაინის, ისევე სხვა ქვეყნების ტრიტორიებზე.“ ასევე, ცნობილი გახდა, რომ 2014 წლამდე ეგოროვი ხშირად ჩადიოდა სამსახურებრივ საქმეებზე უკრაინაში ორი ქვეყნის თანამშრომლობის გასაღრმავებლად. თუ როგორ „გააღრმავა“, ესეც ახლა გამოჩნდა. როგორც ჩანს, სწორედ მაშინ მოახერხა მან უკრაინელის „დავერბოვკება“. ასევე, გამოძიებამ შაიტანოვის და ეგოროვის შეხვედრების აღბეჭდვა ევროპაშიც შეძლო. ბოლო წლებში ისინი საფრანგეთის, გერმანიის და ხორვატიის ტერიტორიაზე ხვდებოდნენ ერთმანეთს. ასევე, უკრაინელი თავის კურატორს სხვადასხვა ღირებულ, საიდუმლო ინფორმაციასაც აწვდიდა, მათ შორის „ატო“-ს (ანტიტერორისტული ოპერაციების რაიონი) ტერიტორიაზე მიმდინარე და დაგეგმილი ოპერაციების შესახებ.

მოღალატე გენერალს სასამართლომ წინასწარი პატიმრობა უკვე შეუფარდა. მას სახელმწიფო ღალატის გარდა, ტერორისტული აქტის დაგეგმვასაც ედავებიან.

ბუნებრივია, ეს თემა რუსეთის სახელისუფლებო მედიისა და ექსპერტებისთვის განხილვის საგნად იქცა. პროპაგანდისტულმა არხებმა ამას მთელი გადაცემები მიუძღვნეს და ყველანაირად სცადეს აბუჩად აეგდოთ უკრაინელების გამოძიებაც და მტკიცებულებებიც. რუსული საინფორმაციო საშუალებები და კრემლის მესვეურები კვლავ უმტკიცებენ მსოფლიოს, რომ არც ერთი ქვეყნის შიდა საქმეებში არ ერევიან, არ აგზავნიან მკვლელებს და არ ცდილობენ ქაოსის, დესტაბილიზაციის შექმნას. თუმცა, არცთუ ისე შორეულ წარსულში სწორედ რუსული სპეცსამსახურების კვალი დაფიქსირდა და თანაც არაერთხელ ინგლისში, შვეიცარიაში, ბულგარეთში, სერბეთში, გერმანიაში, საფრანგეთში და კიდევ ბევრ სხვა ქვეყანაში. სწორედ კრემლს ედავებიან სკრიპალის მოწამლვას, სწორედ რუსეთის საელჩოების მაღალჩინოსნები გააძევეს რამდენიმე ევროპული ქვეყნიდან, სწორედ კრემლის კვალი გამოჩნდა ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობაში ბერლინში და ჩეჩენი ბლოგერის იმრან ალიევის მკვლელობაში საფრანგეთში; ეს კი მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ ქმედებებიდან, რომელსაც „კეთილისმყოფელი“ და „მსოფლიოს გადამრჩენელი“ რუსეთი მუდმივად ჩადის.

ქეთევან სანიკიძე

ისრაელმა დამასკოზე სარაკეტო თავდასხმები განახორციელა

სირიის ადამიანის უფლებების ობსერვატორიის ინფორმაციით, გუშინ, 27 აპრილს, დილით, ისრაელმა სირიის დედაქალაქში სარაკეტო თავდასხმები განახორციელა. ინფორმაციას სირიის მედიაც ადასტურებს.

თავდასხმას ირანის მიერ მხარდაჭერილი ძალების 4 სამხედრო ემსხვერპლა. ასევე დანგრეულია რამდენიმე შენობა, რომელსაც აღნიშნული ძალები აკონტროლებდნენ.

ამასთან, სირიის სახელმწიფო მედიის სააგენტო აცხადებს, რომ იერიშის დროს გარდაცვლილია სამი სამოქალაქო პირი.

26 აპრილს ისრაელის თავდაცვის მინისტრმა ირანი გააფრთხილა, რომ არ დაუშვებდნენ ირანული პოზიციების გაძლიერებას სირიაში.

– ირანისთვის სირია შორეული თავგადასავალია, ის გოლანის სიმაღლეებიდან 1.000 კილომეტრზეა. ჩვენთვის ეს ცხოვრებაა. ირანელი სამხედროები, რომლებიც სირიაში ჩადიან, რისკავენ საკუთარ სიცოცხლეს და საკუთარი სიცოცხლითვე აგებენ პასუხს. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ სირიაში მოწინავე ირანული ბაზები შეიქმნას, – აღნიშნა ნაფტალი ბენეტმა.

ახალ ზელანდიაში კოვიდ-19 დაამარცხეს

დღეიდან ქვეყანა ჩვეულ ცხოვრებას უბრუნდება

ახალ ზელანდიაში აცხადებენ, რომ კორონავირუსი დაამარცხეს. ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, ჯასინდა არდერნის, ინფორმაციით, ამ დროისთვის ბრძოლა მოგებულია.

ბოლო დღეების მანძილზე ახალ ზელანდიაში კორონავირუსის ახალი შემთხვევების ერთეული რაოდენობა გამოვლინდა. 26 აპრილს ვირუსით მხოლოდ ერთი ადამიანი დაინფიცირდა. ამასთან, ქვეყანა 28 აპრილიდან კორონავირუსის გამო დაწესებული შეზღუდვების საკმაოდ დიდ ნაწილს მოხსნის. ქვეყანაში აღდგება სწავლაც. ახალ ზელანდიაში მთლიანობაში კორონავირუსის 1.469 შემთხვევაა დაფიქსირებული. ვირუსს ქვეყანაში 19 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

სად არის კიმ ჩენ ინი?!

ჩრდილოეთ კორეის დიქტატორის კიმ ჩენ ინის თანაშემწე მუნ ჩუე ინმა უარყო მსოფლიოს რიგი მედიასაშუალების ცნობა იმის თაობაზე, რომ კიმ ჩენ ინი გარდაიცვალა.

– კიმი ცოცხალია და თავს ჯანმრთელად გრძნობს, – მუნ ჩუე ინმა ეს „ფოქს ნიუსს“ განუცხადა.

თანახმად აშშ-ის დაზვერვის ცნობისა, კიმ ჩენ ინი ამჟამად ჩრდილოეთ კორეის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში იმყოფება. მან მძიმე ოპერაცია გადაიტანა და ახლა სარეაბილიტაციო კურსს გადის.

ჩინეთს არ აქვს ინფორმაცია კიმ ჩენ ინის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

ამის შესახებ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა, გენგ შუანგმა „როიტერსის“ ინფორმაციის კომენტირებისას განაცხადა, როცა გავლენიანმა მედიასაშუალებამ გასულ კვირას დაწერა, რომ პეკინმა ფხენიანში სამედიცინო ჯგუფი გაგზავნა.

– პირველ რიგში, მინდა გკითხოთ, რომელ წყაროზე დაყრდნობით გაავრცელეთ ეს ინფორმაცია. ჩვენ ჩრდილოეთ კორეაში გავგზავნეთ სამედიცინო ტესტები. ჩინეთი ებრძვის კორონავირუსის გავრცელებას და ეხმარება იმ სახელმწიფოებს, რომელთაც ეს სჭირდებათ. კიმ ჩენ ინის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს, – აღნიშნა პრესსპიკერმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

თვითიზოლაციაში მყოფი მოდელები სახლში საცურაო კოსტიუმებით დადიან

კორონავირუსის ინფექციის პანდემიის გამო სახლებში გამოკეტილმა მოდელებმა სახლებში საცურაო კოსტიუმებში გამოწყობილებმა დაიწყეს სეირნობა და სოციალურ ქსელებში საკუთარ სელფებს ათავსებენ.

კერძოდ, ფეშენ-ბლოგერებმა მასობრივად დაიწყეს საკუთარი ხელმომწერებისთვის საკუთარი ფოტოსურათების გაზიარება, რომლებშიც ისინი საცურაო კოსტიუმებში გამოწყობილები პოზირებენ საკუთარ სახლებში.

მაგალითად, ასეთი კადრი ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა ავსტრალიელმა მოდელმა ლორა ემიმ. გოგონამ ფოტო ლილისფერ 44 ფუნტ სტერლინგად ღირებულ ბიკინიში გადაიღო, ხოლო მის კომენტარში დაწერა: „სადილისშემდგომი გარუჯვა სასტუმრო ოთახში.“

მოდელმა ები დაუზმა თავის მხრივ მსგავს თეთრი ფერის საცურაო კოსტიუმში გადაღებული ფოტოსურათი გამოაქვეყნა. ფოტო საკუთარი აუზის ფონზეა გადაღებული. გოგონას ბიკინის გარდა, ფეხზე თეთრი ფერის ბოტასები აცვია და მზის სათვალეები უკეთია.

ანალოგიური ფოტოსურათი, მხოლოდ ღია მწვანე ფერის ბიკინიში გადაღებული, გამოაქვეყნა ბლოგერმა ლიუსი რედველმა.

სახლში შეჭრილი ლეოპარდის თავდასხმა ძაღლმა მოიგერია



ინდოეთის გუჯარათის შტატის ქალაქ უნაში ძაღლმა სახლში შეჭრილი ლეოპარდის თავდასხმის მოგერიება შეძლო. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

სათვალთვალო კამერის მიერ გადაღებულ ვიდეოჩანაწერში ჩანს, თუ როგორ ხტება ჭიშკარის ზევიდან ლეოპარდი და თავს ესხმის ეზოში მოდარაჯე ძაღლს. მათი შეტაკება დაახლოებით 15 წამს გაგრძელდა, შემდეგ კი მტაცებელი ცხოველი გაიქცა, ის, სავარაუდოდ, ქუჩაში მიმავალი ავტომობილის ხმამ დააფრთხო.

სახლის პატრონის თქმით, ამ შემთხვევამდე ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მის სახლში ლეოპარდი შეაღწევდა. მან მომხდარის თაობაზე ხელისუფლებას აცნობა.

– როგორც კი მომხდარის თაობაზე ინფორმაცია შემოვიდა, ჩვენ ხაფანგი დავდგით ცოცხალი სატყუარით, – განაცხადა სატყეო სამსახურის წარმომადგენელმა ვირა ჩავდამ, – სატყუარამ ლეოპარდი მიიზიდა, ის გალიაში შევიდა და ხაფანგში გაება.

ქორეოგრაფი ალექსანდრე დარახველიძე გარდაიცვალა

გამოჩენილი ქორეოგრაფი, ხელოვანი და პედაგოგი ალექსანდრე რობერტ დარახველიძე 89 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მთელი თავისი ცხოვრება ხელოვანმა ქართულ ცეკვას მიუძღვნა. სხვადასხვა წლებში იგი მოღვაწეობდა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის დამსახურებულ ანსამბლში, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში, საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში. შემდგომ წლებში კი მთელი შემოქმედება საბავშვო ქორეოგრაფიას მიუძღვნა. როგორც დამოუკიდებელი ქორეოგრაფი, ხელმძღანელობდა მის მიერ შექმნილ არაერთ ანსამბლს. მათთან ერთად გასტროლებით მოიარა ქვეყნის და საზღვარგარეთის მრავალი ქალაქი და ქართული კულტურა ათასობით ადამიანს გააცნო. თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი არაერთი ჯილდოს, პრემიისა და პრიზის მფლობელი იყო.

ინფორმაცია მისი გარდაცვალების შესახებ საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირმა გაავრცელა:

– ჩვენი დიდი კოლექტივის მთლიანი შემადგენლობისათვის განსაკუთრებული წუხილის საგანია ის გარემოება, რომ წარმოქმნილი სოციალური სიტუაციის, ქვეყანაში არსებული ვითარების გამო, ქართველმა ქორეოგრაფებმა ვერ გამოხატეს თავისი გულისტკივილი და წარმოიშვა განცდა, რომ ბატონ ალექსანდრეს-რობერტს დააკლდა ჩვენი ყურადღება, მოფერება და პატივისცემა. მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა.

თათია შარანგია თავისი გადაცემის ტენდენციურობას უარყოფს

გადაცემა „სთორის“ წამყვანი თათია შარანგია უარყოფს ტენდენციურობას და აცხადებს, რომ მისთვის ყველა ის სტუმარი სასურველია, ვინც საზოგადოებას აინტერესებს:

– ძვირფასო მაყურებლებო, თქვენ ხომ ზუსტად იცით, თუ როგორ ვაფასებ თითოეული თქვენგანის აზრს, ყოველთვის ვცდილობ გავითვალისწინო და არასოდეს მაქვს აგრესია კრიტიკაზე – პირიქით. ჩემზე უმცროსის აზრსაც ვისმენ, ვცდილობ გავაანალიზო, გავფილტრო და გავითვალისწინო... არ მივიღებ შენიშვნებს იმასთან დაკავშირებით თუ როგორი „ტენდენციურია“ ჩემი გადაცემა, რადგან ეს არის ტყუილი.

მიმაჩნია, რომ ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს თავის აზრი, ვისთვის მართებული, ვისთვის მცდარი. მაგრამ ჟურნალისტის მოვალეობაა, ის თავს არ მოახვიოს მაყურებელს და მას შესთავაზოს სხვადასხვა პოლიტიკური თუ იდეოლოგიის მქონე რესპონდენტები. მუდმივად ვცდილობ ამას.

„სთორის“ დაწყების დღიდან მე თუ ჩემი პროდიუსერი დაუღალავად ვცდილობდით „ქართული ოცნების“ უამრავ წარმომადგენელთან დაკავშირებას და ეს ხერხდებოდა კიდეც. მაგრამ რატომღაც პასუხი თითქმის ყოველთვის იყო უარი. ან თანხმდებოდნენ და ბოლო წუთს აუქმებდნენ, ან დრო არ ჰქონდათ თვეების მანძილზე. ან უბრალოდ პასუხი იყო – ამ ეტაპზე არა. იყვნენ ისეთებიც, ვინც მოვიდნენ. მადლობა მათ.

ამისდა მიუხედავად, კვლავ ვიტოვებ იმედს, რომ მოვლენ ჩემთან გადაცემაში. მე არ შევწყვეტ შეთავაზებას როგორც მმართველი გუნდის წარმომადგენლებთან, ასევე სხვა საინტერესო სტუმრებთან, რომელთა ხილვასაც მთხოვს ჩვენი ერთგული მაყურებელი.

მაპატიეთ თუ ვიწვევ გადაცემაში მათ, ვინც აინტერესებს საზოგადოებას და ვისი მხრიდანაც არის თანხმობა, იყოს ჩემი გადაცემის სტუმარი. ასე რომ, ამ ერთხელ მე ამ კრიტიკას არ მივიღებ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ტახების თავდასხმას ოთხი წლის ბიჭი შეეწირა

ინდოეთის ტელანგანას შტატის ქალაქ ხაიდარაბადის გარეუბანში გარეული ღორების თავდასხმას ოთხი წლის ბიჭი ემსხვერპლა.

ადგილობრივი პოლიციის განყოფილებაში საღამოს საათებში მამაკაცმა, გვარად კეშიამ, დარეკა. მან განაცხადა, რომ მისი შვილი სახლის გვერდით თამაშობდა, როდესაც მას რამდენიმე ტახი თავს დაესხა. გარეულმა ღორებმა ბავშვი ნაგავსაყრელზე წაათრიეს და იქ დაგლიჯეს. ბავშვი საავადმყოფოში გადაიყვანეს გადასარჩენად, თუმცა იმ მომენტისთვის ის უკვე დაღუპული იყო.

პოლიცია მომხდარში გარკვევას ცდილობს. ბავშვის ცხედარი სამედიცინო ექსპერტიზას გადაეცა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ადგილობრივებს არაერთხელ შეუჩივლიათ ხელისუფლებისთვის გარეული ღორების შემოსევის გამო, რომლებიც გარშემმყოფთათვის საფრთხეს წარმოადგენდნენ. თუმცა აქამდე სახელმწიფოს მხრიდან რეაგირება არ ყოფილა.

დედამ ნიანგს ხელი ცხვირში ჩაავლო და შვილი გადაარჩინა

ზიმბაბვეში ქალმა საკუთარი შვილის ნიანგის ყბებისგან დახსნა იმით მოახერხა, რომ რეპტილიას ხელის თითები ცხვირში შეურჭო.

30 წლის მაურინა მუსისიანა მულთან და ორ პატარა ბავშვთან ერთად მდინარე რუნდეზე, რომელიც ეროვნული პარკის გონარეჟუს მახლობლად მიედინება, სათევზაოდ წავიდა.

დედამ ბავშვები მდინარის ნაპირთან ქოლგის ქვეშ სათამაშოდ დატოვა და იქვე ახლოს თევზაობა დაიწყო. მოულოდნელად თავისი მუღლის ყვირილი შემოესმა. მუსისიანამ ანკესი მიატოვა და ბავშვებისკენ გაიქცა. მან დაინახა, რომ მის სამი წლის ბიჭ გიდეონს უზარმაზარი ნიანგი წყლისკენ მიათრევდა.

ქალი ბავშვს გადასარჩენად მივარდა. მას გაახსენდა მშობლების ნათქვამი, რომ თუ ნიანგს ცხვირზე ძლიერად დააჭერ, მას სუნთქვა შეკვრება და ყბებს გახსნის. დედამ რეპტილიას თითები ცხვირის ნესტოებში ატაკა და ნიანგმა ამის შედეგად ყბები გახსნა და ბავშვს პირი გაუშვა. მან მუსისიანას ხელზე უკბინა და წყალში გაუჩინარდა. გიდეონი სახის ტრავმებით სავადმყოფოში გადაიყვანეს. ნიანგის მიერ მიყენებული დაზიანებების გამო ბავშვს სუნთქვის პრობლემები დაეწყო. ექიმებმა მას სათანადო დახმარება აღმოუჩინეს და ბავშვმა გამოჯანმრთელება დაიწყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ.: 599-294-293.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სექსუალური აშლილობებით დაავადებულთა მკურნალებს: შევწყვიტე რა პაციენტების მიღება, შემომრჩა „ერექტორები“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს წყვილთა შორის და თვით სქესობრივად უძლურ მამაკაცებშიც. „ერექტორის“ შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასად. ტელ.: 593-60-60-44; 299-95-33. იკითხეთ ექიმი მერაბი.

შოთა არველაძე: „ჩაკვეტაძის თამაშით მისი გუნდი ყოველთვის უპირატესობას იღებს“

ბოლო დღეებში გავრცელდა ინფორმაციები, რომ ქართველი ფეხბურთელით, ბელგიური გენტის შემტევით, გიორგი ჩაკვეტაძით ფრანგული ბორდო არის დაინტერესებული.

მართალია, ჩაკვეტაძის პირადი აგენტი, გოგა გახოკიძე ამ ინფორმაციას არ ადასტურებს, მაგრამ ეს, შესაძლოა, ზედმეტი გამოხმაურების გამოც იყო. მით უფრო, რომ იგივე ფრანგული წყარო ინტერვიუს აქვეყნებს შოთა არველაძესთან, სადაც ჩაკვეტაძის მიმართ ბორდოს დაინტერესების შესახებაა კომენტარი.

არველაძემ ასევე სხვადასხვა თემებზე ისაუბრა. მათ შორის იმაზეც, თუ რატომ არ ჩაიბარა საქართველოს ნაკრები.

– ამჟამად ფახტაკორის მწვრთნელი ხართ – საკმაოდ მოულოდნელი მიმართულებაა.

– მას შემდეგ, რაც ისრაელი დავტოვე, ბევრი შემოთავაზება მქონდა, მაგრამ ფახტაკორის პროექტი ყველაზე ძალიან მომეწონა. ჩვენ არ გვინდა უცხოურ ტრანსფერებში ზედმეტი ინვესტიციების ჩადება, მაგრამ ხელმძღვანელობა გარკვეულ ფინანსებს მაინც აბანდებს და ცდილობს, რომ ეროვნულ ჩემპიონატში ყველაზე გავლენიანი კლუბი გახდეს. ცხადია, დასავლეთის ფეხბურთი ვერასოდეს იქნება აღმოსავლეთის მსგავსი, რადგან სხვადასხვა კულტურაა. ამიტომ ამ ატმოსფეროს უნდა შევეჩვიოთ. მაგალითად, მე გარშემორტყმული ვიყავი განსხვავებული თვალსაზრისის მქონე ხალხით, რაც ასევე მაიძულებს, რამდენიმე უცხო ენაზე ვისაუბრო. აი, ფრანგულად ცუდად ვლაპარაკობ.

– ვიცით, რომ თბილისის დინამოს გვერდის გამომწერი ხართ და ეს კლუბი გიყვართ.

– არ უნდა დაგვავიწყდეს, საიდან მოვდივართ. თბილისის დინამომ 1981 წელს თასების მფლობელთა თასი მოიგო. ამ გუნდმა სსრკ-ს ნაკრებს წლების განმავლობაში ბევრი ფეხბურთელი გაუზარდა. ასეთი კლუბებისთვის ევროპულ თასზე მოხვედრა დიდი პრობლემა არ იყო. საქართველოსთან მუდმივი კავშირი მაქვს. იქ მე მწვრთნელობაც შემომთავაზეს, მაგრამ იმ დროს საკმარისად გამოცდილი არ ვიყავი და უარი ვთქვი. ეს შესანიშნავი ამბავი იქნებოდა, მაგრამ პროექტს თანმიმდევრულობა უნდა ჰქონდეს.

– თქვენი მწვრთნელი ალან ჟირესიც იყო.

– დიახ, რა თქმა უნდა. ალანი არის ის, ვისაც დიდი წარდგენა არ სჭირდება. ძალიან კარგი ადამიანი და სპეციალისტია. მე ალანის შესახებ მხოლოდ კარგი მოგონებები დამრჩა, მისი რჩევები კი ჩემთვის ღირებული იყო. ჩვენ ყველანი ბორდოში და, რა თქმა უნდა, საფრანგეთის ნაკრებში მისი ჩადენილი გმირობებით ვცხოვრობდით. ჩვენთვის ჟირესის მწვრთნელობის დროს თამაში პლუსი იყო.

– თქვენ სხვა შესანიშნავ მწვრთნელებს იცნობდით, მაგალითად, ლუი ვან გაალს.

– ლუი არის ადამიანი, რომელიც ფეხბურთით ცხოვრობს. ასევე ვიცნობდი დიკ ადვოკაატს. თუმცა, უფრო მჭიდრო ურთიერთობა ლუისთან მაქვს, რომელმაც იცოდა, როგორ დავემუხტე.

– აიაქსიდან ბორდოში რამდენიმე მოთამაშე გადავიდა, მაგალითად, კიკი მუსამპასთან ერთ ოთახში ვცხოვრობდი. ერთხელაც ტრუსით დაბორიალობდა, სპორტულ ჩანთაში ნივთები ჩაალაგა და მითხრა – მე მივდივარ. ვკითხე – სად მიდიხარ? ფიზიოთერაპევტთან? მან მიპასუხა, რომ ბორდოში მიდიოდა. ეს იყო კიკი, ნამდვილი არტისტი. მოედანზე დიდებული იყო, ძალიან მიყვარს კიკი. ანალოგიურად ვფიქრობ რიხარდ ვიჩგესა და მისი ძმის, რობის შესახებ. მოედანზე ძალიან ელეგანტურები იყვნენ. ჩვენ გვსიამოვნებს ერთად პოკერის თამაში.

– იან ვოუტერსმა წაგიყვანათ გლაზგოში. თქვენ იქაც ისევ დიდი გუნდი გელოდათ.

– მართალია, ეს კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იყო. მე ვოუტერსს თვალდახუჭული გავყევი, რადგან ის აიაქსის ლეგენდაა და ერთმანეთს ძალიან კარგად ვუგებდით. იქ შევხვდი ისეთ შესანიშნავ ბიჭებს, როგორებიც არიან კლაუდიო კანიჯა, კრისტიან ნერლინგერი... შემიძლია გითხრათ, რომ ბევრი კარგი მოთამაშე იყო და ევროპულ სარბიელზე უკეთესი შედეგების ჩვენება შეგვეძლო. შემდეგ იქაური სტადიონების ატმოსფერო...

– თქვენ უეფას თასის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი ხართ. ეს როგორი განცდაა?

– როდესაც პატარა ვიყავი, ევროპაში გაბრწყინება მინდოდა. ცხადია, ეს საამაყო ფაქტია, რომ ამ ტურნირზე ამდენი ბურთის გატანა შევძელი. სხვათა შორის, უეფას თასი ახსენეთ და ბორდოში ზიდანის გოლი მახსოვს, რომელიც მილანს გაუტანა – ფანტასტიკური გოლი იყო.

– თქვენ 1995-96 წლების ბორდო გახსოვთ?!

– რა თქმა უნდა, თამაშებს დღეს მთელს მსოფლიოში ვუყურებ. მაშინ ევროპის თასის ფინალს ვერ გამოვტოვებდი. იმ პერიოდში ბორდო დიდი გუნდი იყო. მინდა გითხრათ, რომ ჩემ ძმას არჩილს გერმანიის ბუნდესლიგიდან კარგად ახსოვს ბიქსენტ ლიზარაზუ, რომელიც ასევე ბორდოში თამაშობდა და ვიჩგე, რა თქმა უნდა.

– თქვენი აზრით, იმ პერიოდში ფრანგულმა კლუბებმა ევროპის თასების მოგება რატომ ვერ შეძლეს?

– მაშინ იტალიელები და გერმანელები დომინირებდნენ. თქვენ გყავდათ 2-3 ფეხბურთელი, რაც საკმარისი არ არის დომინირებისთვის. ასევე გასათვალისწინებელია ბევრი ფაქტორი, მათ შორის ტრავმებიც. კარგად უნდა იყოს მართული შინაური ჩემპიონატი. ევროპულ თავგადასავლებზე გადასვლა და მოგება თითქმის მეცნიერებაა.

– ახლა ბორდო 2 ფეხბურთელს აკვირდება, უზბეკ ელდორ შომურადოვს და გიორგი ჩაკვეტაძეს. რას ფიქრობთ ამ მოთამაშეებზე?

– ელდორს უზბეკეთში მუშაობის პერიოდიდან კარგად ვიცნობ. აშკარად ეფექტური თავდამსხმელია, რომელიც, ჩემი აზრით, უფრო ნიდერლანდების ან ინგლისის ჩემპიონატებში გამოდგება. მან კარგად იცის გახსნა და თავით თამაში. დარწმუნებული ვარ, რომ მისმა ამჟამინდელმა მწვრთნელმა როსტოვში ვალერი კარპინმა იცის, მის კიდევ უფრო მეტ პროგრესს როგორ მიაღწიოს. მას შეუძლია უზბეკეთის საუკეთესო მოთამაშე გახდეს და ძლიერ ევროპულ ლიგაში ითამაშოს.

გიორგის პირადად ვიცნობ. ის შესანიშნავი ტექნიკის პატრონია. ბოლო სეზონში ნაკლები თამაში ჩაატარა, რადგან ტრავმის შემდეგ დიდი დრო გაუცდა. შარშან დიდ კლუბში ჩარიცხვასთან ახლოს იყო, მაგრამ საბოლოოდ ასე არ მოხდა. არ მიკვირს, რომ ბორდო მისით დაინტერესდა, რადგან მოედნის კარგი ხედვა და სათამაშო აზროვნება ახასიათებს, რაც მას გამორჩეული დონის ფეხბურთელად ხდის. ჩაკვეტაძის თამაშით მისი გუნდი ყოველთვის უპირატესობას იღებს. როდესაც ფეხბურთელი გამორჩეულია, ასეთი აუცილებლად უმაღლეს დონეზე თამაშს შეეცდება. ბორდო კი ევროპაში ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული კლუბია.

– მომავალში რა გინდათ, რომ გისურვოთ?

– რა თქმა უნდა, ყველა ჯანმრთელად რომ ვიყო და გავაცნობიეროთ, როგორ გაგვიმართლა, რომ შეგვიძლია გავაკეთოთ ის, რაც გვიყვარს.

რონალდინიო: „არ ვიცოდი, რომ პასპორტი ყალბი იყო“

ციხიდან გამოსვლის შემდეგ რონალდინიომ პირველი კომენტარი გააკეთა. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელი ვარსკვლავი 32 დღე იყო პატიმრობაში – რონი პარაგვაიში ძმასთან ერთად დააკავეს. მიზეზი ის არის, რომ ორივეს ყალბი პასპორტი ჰქონდა.

რონალდინიო:

– გაგვიკვირდა, როცა ვნახეთ, რომ დოკუმენტები ყალბი იყო. იმ დროს არ დავკვირვებივარ. მაშინვე მზადყოფნა გამოვთქვით, რომ სამართალდამცავებთან ვითანამშრომლებდით სიმართლის გასარკვევად. მას შემდეგ ყველა დეტალის გარკვევაზე ვმუშაობთ. ვერ წარმოვიდგენდი, რომ როდესმე დამპატიმრებდნენ. მთელი ჩემი ცხოვრება მინდოდა, რომ პროფესიონალურად მაღალ დონეზე ვყოფილიყავი და ხალხი გამეხარებინა. სითბო, სიყვარული და პატივისცემა: ამ ყველაფერს ვგრძნობდი პარაგვაელი ხალხისგან. მათ მადლობას ვუხდი. ღმერთის მწამს და ყოველდღიურად ვლოცულობ, რომ ყველაფერი კარგად იყოს. პირველი, რაც ციხიდან გამოსვლის მერე გავაკეთე, სახლში წავედი და დედას ვაკოცე, რომელიც მთელი პანდემიის პერიოდში სახლში იმყოფებოდა.

არადა, რონალდინიო ციხეში თავს ცუდად არ გრძნობდა – პატიმრებთან ერთად ფეხბურთს თამაშობდა და ერთხელ ტურნირიც მოიგო, რის გამოც მთავარ პრიზად გოჭი ერგო.

ბრიტანელს ბევრი ჩაის დალევამ კოფეინის მიმართ იმუნიტეტი გამოუმუშავა

ინგლისის ლანკაშირის საგრაფოს მკვიდრი ყმაწვილობაში მეტისმეტად დიდი რაოდენობით ჩაის მოიხმარდა და შედეგად მასზე კოფეინი აღარ მოქმედებს. ლუი ლანკაშირიდან ამტკიცებს, რომ ყმაწვილობისას მთელ დღეებს პლეისთეიშენით ან კომპიუტერით თამაშში ატარებდა და მათ თავს მხოლოდ სამზარეულოში შესვლის მიზეზით ანებებდა.

– როდესაც ჩაიდანი ასე ახლოს მქონდა, ჩაის ერთი მეორის მიყოლებით ვისხავდი, – იხსენებს ბრიტანელი, – ასეთი მიდგომით კი ვერ იგებ, თუ რამდენი ჭიქა დალიე. სავარაუდოდ, დღეში 15-20 ჭიქაზე ნაკლებს არ ვსვამდი.

ჩაითი გატაცებამ კი ის შედეგი გამოიღო, რომ კოფეინი, რომელსაც ჩაი ან ყავა შეიცავს, ლუიზე ისევე აღარ მოქმედებს, როგორც ეს სხვა ადამიანების შემთხვევაში ხდება.

– ვფიქრობ, რომ მის მიმართ იმუნიტეტი გამომიმუშავდა, ვინაიდამ ამჟამად ყავა, რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, ჩემში დაღლილობას იწვევს, ხოლო ძილის წინ ჭიქა ჩაი მამშვიდებს, – განმარტა ლუიმ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

შენგელია მადრიდისკენ მიიწევს

ბოლო დროს ევროპული მედია ქართველი კალათბურთელის, თორნიკე შენგელიას ტრანსფერზე აქტიურად საუბრობს. ქართველის სამსახურით 2 კლუბია დაინტერესებული – იტალიური მილანი და ესპანური რეალი.

28 წლის ქართველი კალათბურთელის მადრიდულ კლუბში ტრანსფერი უფრო რეალური ჩანს.

როგორც ირკვევა, რეალის მწვრთნელ პაბლო ლასოს ჩვენებურის შეძენა ძალიან სურს. ქართველი ფორვარდის მადრიდში გადაბარგება 2017 წელსაც იგეგმებოდა, მაგრამ მაშინ ტრანსფერი არ შედგა და მადრიდელებს მე-2 მცდელობა ექნებათ.

როგორც ესპანური მედია წერს, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული, როგორ გადაიტანს მოსალოდნელ კრიზისს ბასკონია, რომელსაც დიდი ფინანსური შესაძლებლობები არ გააჩნია და შესაძლოა, ლიდერთან დამშვიდობება სწორედ ამიტომ მოუწიოს.

მადრიდული გამოცემის აზრით, შენგელიას გადაბირების შემთხვევაში, რეალს არც ლეგიონერების კვოტასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნება, რადგანაც გუნდში დიდი ცვლილებები იგეგმება.

გადაწყვეტილია, რომ რეალის დატოვება მოუწევს სალაჰ მეჯრის და დიდი ალბათობით, კონტრაქტს არც ტრეი ტომპკინსს გაუგრძელებენ. გუნდის ფარქვეშ დამატებითი სივრცე გაჩნდება იმის გათვალისწინებითაც, რომ კარიერის დასრულებას აპირებს რეალის ვეტერანი ვარსკვლავი ფელიპე რეიესი.

მადრიდელთა საფიქრალი მილანია – იტალიური გუნდი ქართველით დაინტერესებას ასევე ღიად გამოხატავს და ფინანსურადაც მძლავრად გამოიყურება, რაც მას რეალის უმთავრეს კონკურენტად აქცევს. თორნიკე ბასკონიაში 2014 წელს ჩაირიცხა, 2018 წლის ზაფხულში კი კონტრაქტი 2022 წლამდე გააფორმა და ამ დროში 6.5 მილიონი ევრო უნდა მიიღოს.

მოამზადა
მასეილ ყორეოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ისტორიული სამთავრო სამცხე-ჯავახეთში; 2. ბარიტის საბადო ონის რაიონში; 3. პოლიტიკური პარტიის სამოქმედო პროგრამა; 4. გამაგრებული ციხე-სიმაგრე გერმანიის ქალაქებში ძველად; 5. წმინდა, ხალასი ოქრო; 8. პოლონეთის პრეზიდენტი; 9. მოწმობა, სიგელი დამსახურებისთვის, წარმატებისთვის; 10. პირობა, რომელიც უზრუნველყოფს რაიმე წარმატებას; 12. შტატი აშშ-ში; 13. ლითონის დასამუშავებელი მრავალსაჭრისიანი სახარატო იარაღი; 15. ჩამქრალი ვულკანი თრიალეთის ქედზე.

თარაზულად: 1. რაჭა-ლეჩხუმის ძველი სახელწოდება; 6. ანდერძში შეტანილი საგანგებო, განსაკუთრებული პირობა; 7. კოვბოების შეჯიბრება; 10. ფრანგი მოდელიორი; 11. ევროპელ ებრაელთა სალაპარაკო ენა; 13. საკვები პროდუქტების შესაფუთად გამოყენებული ფერადი ლითონების სიფრიფანა ფურცლები; 14. მაღალმთიანი სოფელი თუშეთში; 16. მუსლიმთა სამლოცველო; 17. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 18. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კელერი; 2. რანდი; 3. ფაშა; 5. ვეზირი; 6. ფშავი; 7. ჩხავერი; 11. რამოსი; 13. თრილერი; 14. ფეტვი; 15. მამლუქი; 16. გუდიარი; 17. დუკერი; 19. აპაჩი; 20. ფოთი.

თარაზულად: 1. კარდიფი; 4. ნიყვი; 8. შახტი; 9. ზღვა; 10. ანდორა; 12. კვაზარი; 14. ფსოუ; 15. მინისტრი; 16. გოტიე; 18. პოლკა; 21. კუკია; 22. რუსთავი; 23. ჩარტერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ზღვა; 2. ომი; 3. გუტიერესი; 4. იანძი; 5. დიზაინი; 8. ნანა; 9. გინიოლი; 10. კაკანათი; 12. ფრახტი; 13. ბეილი; 15. ატენი.

თარაზულად: 1. ზარნაშო; 6. წუწურაქი; 7. ვენტა; 10. კლიპი; 11. უნაბი; 13. ბოისა; 14. სვავი; 16. ხევი; 17. იპოთეკა; 18. ტანინი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

28 აპრილი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2027

ევრო — 3.4551

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.9537

100 რუსული რუბლი — 4.3031

ამინდის პროგნოზი 28 აპრილისთვის

მერაბ ნინიძე ამღერდა

მსახიობი მერაბ ნინიძე ამღერდა. მან თვითიზოლაციაში ყოფნის დროს მსახიობობას მომღერლობა შეუთავსა და სპეციალურად თავისი ერთგული მაყურებლისთვის ჩაწერილი ვიდეო ინტერნეტში განათავსა:

– დარჩი სახლში და სცადე სიმღერა, ან სხვა რამ. უბრალოდ სცადე! – ამ მოწოდებით მიმართა მსახიობმა ათასობით ადამიანს. მისმა ვიდეომ კი ბევრი მოწონება, დადებითი კომენტარი და გაზიარება დაიმსახურა.

ომარ მხეიძე 85 წლის გახდა



ანსამბლ „სუხიშვილების“ ოქროს თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი ომარ მხეიძე 85 წლის გახდა.

მოცეკვავემ იუბილე ოჯახის წევრების გარემოცვაში აღნიშნა. მას დაბადების დღე უამრავმა ადამიანმა მიულოცა და დიდხანს სიცოცხლესთან ერთად, ყველაფერი საუკეთესო უსურვა.

თავად იუბილარი განვლილი ცხოვრებით კმაყოფილია და არაფერს ნანობს, თუმცა ერთ რამეზე სწყდება გული:

– არაფერს არ ვნანობ, მაგრამ ერთი ყველაზე დიდი ტკივილი მაქვს – პირადი არქივი დამეკარგა. საზღვარგარეთ ვიყავი წასული, როცა ჩემები ახალ ბინაში გადავიდნენ, მთელი ჩემი არქივი დიდ ყუთებში იყო ჩაწყობილი და დაიკარგა. ბავშვობის სურათი მხოლოდ და მხოლოდ ორი ცალი მაქვს. ისეთი არქივი მქონდა – მსოფლიოში განთქმულ ადამიანებთან გადაღებული სურათები, ჩემზე სტატიები, ჩემი ხელნაწერები, პირადი მოგონებები, ყველაფერი დავკარგე. ძალიან მენანება ჩემი არქივი და გულნატკენი ვარ, მაგრამ ვეღარ დავიბრუნებ, სამწუხაროდ.

გიორგი უშიკიშვილმა სიმღერების ინტერნეტ-გაკვეთილები დაიწყო

მომღერალმა გიორგი უშიკიშვილმა ქართული ხალხური სიმღერის მოყვარულებისთვის ონლაინ გაკვეთილები დაიწყო:

– მეგობარმა მომაწოდა ასეთი იდეა, რომ ყოველდღე ერთი სიმღერის ვიდეო გაკვეთილი ჩავწერო და დავდო აქ, ჩემს გვერდზე. შევეცადოთ, კვირაში 3 სიმღერა მაინც ვისწავლოთ.

ყოველდღე დავდებ ვიდეო გაკვეთილს და ვისაც გაქვთ სურვილი, ან თუ გინდათ თქვენმა შვილმა შეისწავლოს ქართული ხალხური სიმღერა, იქნებ გამოგადგეთ ჩემი ვიდეო გაკვეთილები.

სანამ დრო გვაქვს და სახლში ვართ, იქნებ გამოვიყენოთ ეს პერიოდი და შევისწავლოთ რამდენიმე ხალხური სიმღერა. კორონა რომ გადაივლის, გავაკეთოთ ერთი დიდი შეხვედრა და ყველამ ერთად ვიმღეროთ!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

იუმორი

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– ნამდვილი სულელი ვარ, წუხელის ღამე ჩემს მობილურ ტელეფონს ტელეფონის ფანრის შუქზე ვეძებდი.

– მერე, სად ნახე?

•••

...არ მოიპარო! ხელისუფლებას კონკურენცია არ უყვარს...

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– იცი, ჩემ ცოლთან სექსი ქორწილამდე არ მქონია. და შენ?

– აუ, რა კითხვას მისვამ! რაღა მახსოვს? და შენ ცოლს რა ჰქვია?

•••

სამშობიაროში ერთი მედდა მეორეს ეკითხება:

– ასე ხმამაღლა ვინ ტირის, ის სამი ტყუპი გოგონა ხომ არა, ახლა რომ დაიბადნენ?

– არა, მათი მამაა!

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ნათი, საყვარელო, სადილად რაიმე მოამზადე, დღეს სტუმრები გვეყოლება?

– პრობლემა არაა, ძვირფასო, მხოლოდ ის მითხარი, როგორ მოვამზადო, კიდევ რომ გვესტუმრონ, თუ მეორედ სტუმრობის სურვილი საერთოდ გაუქრეთ?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჰენდერსონი: „მაისურის გაცვლა არ მიყვარს“

ლივერპულის კაპიტანმა ჯორდან ჰენდერსონმა მატჩის შემდგომ მაისურის გაცვლის რიტუალზე ისაუბრა და თქვა, რომ მას არ მოსწონს მსგავსი რამ.

ჰენდერსონის თქმით, თუ ვინმეს მაისურის გაცვლას სთხოვ, ეს ნიშნავს, რომ მას ქვემოდან უყურებ:

– როდესაც სანდერლენდში ვთამაშობდი, როი კინმა მითხრა, რომ მაისურის გაცვლის თხოვნა ნიშნავს, რომ იმ ადამიანს ზედმეტად დიდ პატივს სცემ და ქვევიდან უყურებ. ეს სიტყვები ჭკუაში დამიჯდა და მას შემდეგ ვცდილობ, მაისური არავის გავუცვალო, თუნდაც ეს ფეხბურთელი მესი იყოს.

ესპანეთის ჩემპიონატი, შესაძლოა, ივნისში განახლდეს

LaLiga

ესპანეთის საფეხბურთო ფედერაციამ განცხადება გააკეთა ესპანეთის ჩემპიონატის განახლების შესახებ, თუმცა კონკრეტული ციფრები მითითებული არ არის, თუ როდის განახლდება ეს ტურნირი.

დიდი ალბათობით, ეს მაისში არ მოხდება, რადგან კორონავირუსი ჯერ კიდევ საკმაოდ არის გავრცელებული ესპანეთში.

შესაძლოა, ესპანეთის ჩემპიონატი ივნისში განახლდეს, თუ მანამდე ქვეყანაში მდგომარეობა შედარებით მოწესრიგდება და დარეგულირდება.

დე ხეა: „მანჩესტერ იუნაიტედიდან წასვლა არ მსურს“

მანჩესტერ იუნაიტედის მეკარემ დავიდ დე ხეამ განაცხადა, რომ ის სხვა გუნდში გადასვლას არ აპირებს და მანჩესტერში ძალიან ბედნიერია.

დე ხეას თქმით, ხმები მისი წასვლის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება:

– არ ვიცი, ჭორები საიდან ჩნდება, მაგრამ ყოველთვის ვამბობდი, რომ მანჩესტერში ძალიან ბედნიერი ვიყავი და ეს ახლაც ასეა. ჩვენ ბევრი მიზანი გვაქვს და იმედი მაქვს, რომ გუნდთან ერთად ტიტულებს მოვიგებ.

დე ხეა მანჩესტერ იუნაიტედში 2011 წლიდან თამაშობს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

კეიტ მიდლტონმა 90-იანი წლების ბრენდი მოდაში დააბრუნა

90-იანი წლების პოპულარული ბრიტანული ბრენდი კვლავ პოპულარული გახდა კემბრიჯის ჰერცოგინია კეიტ მიდლტონის წყალობით. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ლონდონური მარკა Ghost-ი, რომელიც თავისი კაბებით იყო ცნობილი, 1984 წელს იქნა დაარსებული და დიდი პოპულარობა 90-იან წლებში მოიპოვა. თუმცა 2004 წელს 72 ათასი ფუნტის ზარალი განიცადა, ხოლო 2008 წელს თითქმის გაკოტრდა. აღსანიშნავია, რომ Ghost-ის ნაწარმის მოდაში დაბრუნების დადასტურებას კეიტ მიდლტონის ამ ბრენდის ტანსაცმელში გამოჩენა წარმოადგენს. პრინც უილიამის მეუღლემ ბი-ბი-სის ტელეგადაცემაში ამ ბრენდის ყვავილებით შემკობილ იასამნისფერ კაბაში გამოწყობილმა მიიღო მონაწილეობა. ამ დროისთვის 90 ფუნტ სტერლინგად ღირებული ამ მარკის კაბები მთლიანად გაყიდულია.

პრინცი ჩარლზი თვითიზოლაციაში ყოფნისას სასაცილო ვიდეოებით ერთობოდა

ბრიტანეთის პრინცმა ჩარლზმა აღიარა, რომ კორონავირუსით დაინფიცირების შემდეგ თვითიზოლაციაში ყოფნის დროს ინტერნეტში სასაცილო ვიდეოებს უყურებდა. ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრის სტატია ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა. მასში ჩარლზმა აღნიშნა თავშესაქცევი ვიდეოების სარგებლიანობა. მისი აზრით, ისინი ხალხს ეხმარება იმაში, რომ რთულ დროში სულით არ დაეცნენ, შემდეგ კი ბრიტანელები შეაქო იმ სიკეთისთვის, რომელსაც ისინი იჩენდნენ ეპიდემიის დროს.

– ახალგაზრდები მაღაზიებში მოხუცებულებისთვის დადიან, ზოგიერთი მუდმივად ურეკავს ტელეფონზე მარტოხელებს. მეორენი ვიდეოზე იწერენ და შემდეგ ელექტრონული ფოსტით უგზავნიან საეკლესიო მსახურებას მრევლს და, რა თქმა უნდა, ჩვენ ვიხილეთ ტექნიკური საშუალებების საუკეთესო გამოყენება, რომელიც ადამიანებს მუშაობის გაგრძელების საშუალებას აძლევდა და ამავე დროს ვირტუალური საღამოების, თამაშების, სიმღერის დახმარებით ერთმანეთთან კონტაქტს უნარჩუნებდა. ერთ-ერთი ყველაზე სასაცილო ვიდეო სწორედ თვითიზოლაციაში ყოფნის დროს ვნახე, – დაწერა პრინცმა ჩარლზმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

28 აპრილისთვის

ვერძი – შანსი გეძლევათ, მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. იზრდება თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი. ** კურო** – ახალი კონტაქტები იღბლიანად წარიმართება. შესაძლოა, შემოსავალი გაგეზარდოთ. **ტყუპები** – შემოქმედებითი და სექსუალური პოტენციალი მაღალია. საღამოს ნათესავებთან ურთიერთობა დაგეძაბებათ. **კირჩხიბი** – პროვოკაციული დღეა. ერიდეთ სხვის საქმეში ჩარევას, თორემ გაუგებრობაში გაეხვევით. **ლომი** – კოლეგებთან პატარა კონფლიქტია მოსალოდნელი. მოვლენებზე მტკივნეულ რეაგირებას ნუ მოახდენთ. **ქალწული** – საკუთარი ძალების რწმენა და საქმიანი აქტივობა სასიკეთო შედეგს გამოიღებს. მატერიალური მდგომარეობაც გიუმჯობესდებათ. **სასწორი** – დაბნეულობის გამო საქმიანი რიტმიდან ამოვარდნილი ხართ. შეუფერებელი დღეა საყიდლებზე წასასვლელად, მოლაპარაკებებისათვის. **ღრიანტალი** – ილუზიებს არ აჰყვეთ. ეცადეთ, არავინ მოგატყუოთ. არაკეთილისმყოფელი დღეა ქალაქგარეთ გასასვლელად, მივლინებებისათვის. **მშვილდოსანი** – მშვიდად იმუშავეთ. მყისიერ შედეგს ნუ ელით. მთავარია, თქვენი საქმე დიდი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალურად აკეთოთ. **თხის რქა** – მსხვილი შენაძენისათვის საყიდლებზე ნუ წახვალთ. ფული წყალში იქნება გადაყრილი. ჯანმრთელობის მდგომარეობა გიუარესდებათ. **მერწყული** – კონფლიქტური დღეა. მოშურნეებსა და არაკეთილგანწყობილ ადამიანებს ერიდეთ. ნუ იქნებით თავქარიანი. **თევზები** – პასიურად ხართ. ინიციატივისა და პრინციპულობის გამოვლენა დღეს აუცილებელია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 2. შეიარაღებული მძარცველი; 3. პოპულარული ირლანდიური ლუდი; 4. ძვირფასი ლითონებით დაფარული ხის ან ლითონის ნაკეთობა; 5. საჭმელი სოკო; 11. წვრილი, წვნიანი ნაყოფის მქონე ბალახოვან და ბუჩქოვან მცენარეთა საერთო სახელწოდება; 12. მოდური ტანსაცმლის მაღაზია; 14. ჩაის ბუჩქის ახლადამოსული, ნორჩი ყლორტი; 16. მანძილის საზომი ერთეული ასტრონომიაში; 17. უნგრეთის პირველი მეფე, ქრისტიანობის დამკანონებელი ქვეყანაში; 19. მედიცინის ერთ-ერთი დარგი; 21. ბაღ-ბოსტნის ძველი ქართული სახელწოდება; 22. ჯაკომო პუჩინის ოპერა.

თარაზულად: 6. სვანური ციხე-კოშკი; 7. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 8. ძველი ქართული თოჯინური თეატრის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი; 9. თაღლითი ბანქოს თამაშში; 10. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი; 13. ოსური ცეკვა; 15. თითების განლაგება მუსიკალური ინსტრუმენტების დაკვრისას; 18. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 20. დედალი ჯიხვი; 21. კომბინაცია პრეფერანსში; 23. თვალით უხილავი ნაწილაკების გამოსაკვლევი ოპტიკური ხელსაწყო; 24. პატარა მოთხრობა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა